საერთო გაზეთი

№17 (428) • 3 მაისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

უსუფაშვილის პარტიის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეაერთებს თუ არა მას ივანიშვილი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე?

გიორგი აბდალაძე:

„ფოტოგრაფების საქმე“ სააკაშვილ-მერაბიშვილისთვის ბრალის წაყენებით დასრულდება

პეტრე ქოჩაკიძე:

ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

მამა ბასილი:

სექტანტების და სატანისტების მღვდლად კურთხევა უდიდესი მკრეხელობა და უმძიმესი ცოდვაა



დავით ჟღენტი:

ხელისუფლებამ სახელმწიფო სტრუქტურები „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან უნდა გაწმინდოს

მოკლე საბნის, ალხანების და ჩალხანების შესახებ

ჩრდილოეთ კორეა - აისბერგი ატომური ბომბით

დარწმუნებული ვარ, რომ „ფოტოგრაფების საქმე“ სააკაშვილ-მერაბიშვილისთვის ბრალის წაყენებით დასრულდება

„ფოტოგრაფების საქმის“ განხილვა მიმდინარეობს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძეს ვესაუბრეთ:

— სააპელაციოში გამართულ პროცესამდე ირაკლის მდგომარეობასთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია არ გვქონია. ირაკლი ამ თემაზე არ ლაპარაკობდა, თუმცა ისედაც ვხვდებოდით, რა მდგომარეობაში იქნებოდა კაცი, რომელსაც გვერდით საკანში მეუღლე ჰყავს. ამ საქმეზე პროკურატურას დაახლოებით 80 მოწმე ჰყავს დასაკითხი, ასე, რომ დაველოდოთ სასამართლო მსვლელობას.. ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რა სახის

დოკუმენტაცია შეიქმნა ჩვენს საქმეზე, ვის ჰქონდა ამ დოკუმენტაციასთან წვდომა და და ვინ ჩადო ეს დოკუმენტაცია ჩვენს პირად საქმეებში, როგორც მტკიცებულება.

— პროკურატურის ვერსიით, თქვენი დაკავება 26 მაისის აქციის დარბევის დროს გადაღებულ იმ ფოტოებს უკავშირდება, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში ხელისუფლების იმიჯი დააზარალა.

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ყოფილი ხელისუფლება 26 მაისის ფოტოებმა გააღიზიანა. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, დავალებას დევნოზაშვილი შეასრულებდა თუ ვინმე სხვა, რადგან წინა ხელისუფლებას ბევრი დოქსოპულო ჰყავდა. ჩემთვის ყველაზე მთავარი დამკვეთების დასჯაა და ამისთვის, ბოლომდე ვიბრძოლებ. დღესავით ნათელია, რომ „ფოტოგრაფების საქმის“ შემოქმედები საკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, უტიაშვილი, ბოკერია და სხვა მაღალჩინოსნები არიან. ჩვენი პატიმრობაში ყოფნის პერიოდში დაიდო სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ზემოთხსენებული ვაჟბატონები ჩვენი მისამართით სალანძღავ და საგინებელ სიტყვებს არ იშურებენ. ამ სატელეფონო საუბრიდან და იმ მოცმულობიდან გამომდინარე, რომ სააკაშვილის ნებართვის გარეშე ხელისუფლების წარმომადგენლებს ცოლი ვერ მოჰყავდათ, ვასკვნი, რომ ჩვენი დაჭერა სახელმწიფოს პირველი პირების გადაწყვეტილებით მოხდა.

— თუმცა, ხელისუფლებისთვის არასასურველი ფოტოების გადაღება სხვა დროსაც მომხდარა. მაგალითად, აგვისტოს ომის დროს, მიწაზე გართხმული მთავარსარდალი, მახათას მთაზე საეჭვო მდგომარეობაში მყოფი პრეზიდენტი და ა.შ.

— მიწაზე გართხმული მთავარსარდალი უკრაინელმა ფოტოგრაფმა გადაიღო. სულ რაღაც სამი წამი იღებდა და სააკაშვილის რეალური სახე შექმნა. რაც შეეხება 26 მაისს, ხელისუფლება ცდილობდა მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, რომ მიტინგის დაშლის დროს, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამ დროს გამოჩნდა ფოტოები, რომლებზეც სისხლის გუბეებში მწოლი, ხელებშეკრული და თავდახეთქილი ადამიანები იყვნენ აღბეჭდილი. ხელისუფლების გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ მსოფლიომ სააკაშვილის დემოკრატიის რეალური სურათი ნახა. 7 ნოემბერს ხალხს კოლმეურნეობის მოედნისკენ გასასვლელი მაინც დაუტოვეს, რომ ტერიტორიას გაცლოდნენ. 26 მაისს კი ხალხს ოთხივე მხარეს გზა ჩაუკეტეს. ხელისუფლების მთავარი ამოცანა ყველა ადამიანის სამაგალითო დასჯა იყო. ახლა ზღაპრებს რომ ყვებიან, ქალებს ვუშვებდითო, მე გაჩვენებთ სურათებს, სადაც ქალებს ურტყამენ და თავებს უხეთქავენ. ჩვენი დაჭერა ყველა რეპორტიორისა და ჟურნალისტისთვის გაფრთხილება იყო, რომ ხელისუფლებისთვის მიუღებელი მასალის გაშუქება არ გაებედათ. ციხეში პირდაპირ მეუბნებოდნენ, ჩვენ 30 წელი ვიქნებით ხელისუფლებაში, მერე კი ჩვენი შვილები და თანამოაზრეები მოვლენ. ასე, რომ ვინც ხმის ამოღებას გაბედავს, ყველას თქვენი ბედი ელისო. სრულიად დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტები რომ არ გამოსულიყო, სხვა მედიასაშუალებები გვერდით რომ არ დადგომოდნენ და ის მხარდაჭერა არ ყოფილიყვნენ, სიენენი, ბიბისი და ევრონიუსი ორი კვირის მანძილზე რომ აშუქებდნენ, ჩვენი იქ ყოფნა ზუსტად ისე დასრულდებოდა, როგორც თეთრაძის საქმე დასრულდა. ციხის დირექტორმა, მუხაძემ პირდაპირ მითხრა, აქ

სრულ ჯოჯოხეთს მოგიწყობთ და შენ თუ ცოცხალი გახვალ, ჩემი ასე და ისეო.. პირველი, რაც გააკეთეს, ჩემი ძმა უმუშევარი დატოვეს და ისე გარდაიცვალა, რომ სამსახურს ვერ ეღირსა. რეალურად, ნაციონალებს ნახევარი საქართველო ჰყავდათ საპყრობილეებში გამოკეტილი. 300 000 პატიმარს ოჯახში ხომ ჰყავდა შვილი ან დედა? იანგარიშეთ და ნახავთ, რამდენ ადამიანს შეეხო ეს უბედურება. საპყრობილეში ნოტარიული კანტორა ჰქონდათ გახსნილი. ხალხს ქონებას იქვე ართმევდნენ და იქვე იფორმებდნენ. გულწრფელად გეტყვით, არ ვიცი ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, რა გველოდა. ჩვენი საქმე ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც სააკაშვილი იძულებული გახდა, უკან დაეხია. პანიკაში ჩავარდნენ, რადგან არ იცოდნენ, ჩვენთან დაკავშირებით რა ექნათ. დაჭერის „გასაპრავებლად“ ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მიეღოთ აღიარებითი ჩვენება. ეს სააკაშვილის ხასიათში იყო - ჯერ რაღაცას გააკეთებდა და შედეგებზე მერე ფიქრობდა.

— მიხეილ სააკაშვილთან როგორც გადასაღებ ობიექტთან, ურთიერთობა თუ გქონია?

— მასთან ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ვიცი, რომ როგორც ობიექტი ძალიან რთული გადასაღები იყო, რადგან გადაღების დაწყებიდან მაქსიმუმ 3-5 წუთში სერიოზული პრობლემები

იწყებოდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც ბოლომდე ახერხებდა კარგი კადრების დაჭერას და ხარისხიანი ფოტოების გადაღებას ირაკლი გედენიძე იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩემთვის მთავარია, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც პოლიტიკური პარტია კი არა, დამნაშავეების ბუდეა, ხელისუფლების სათავეებთან ველარასოდეს მოვა. იმ ხალხის ადგილი, რომლებიც აპლოდისმენტებით და სიხარულით ხვდებოდა ადამიანების ხოცვას, გაუპატიურებას, წამებას, ქონების წართმევას და დაშანტაჟებას ხელისუფლებაში არაა. ეს ხალხი, დღემდე ისტერიკაშია და ვერ ხვდება როგორ გამოეცალათ ძალაუფლება ხელიდან. ახლა დარჩათ „რუსთავი-2“, სადაც თითოეული ჟურნალისტი ნიკა გვარამიას მძევალია. ეს ხალხი ერთი პრინციპით მოქმედებს - თუ ხელისუფლებაში არ ვიქნებით, ქვა ქვაზე არ დარჩენილაო. გემახსოვრებათ, ბათუმის არეულობა, რომელიც პრემიერის გამოსვლის მეორე დღეს მოაწყვეს. გამოვიდა კვირიკაშვილი და გვახარა, მეექვსმილიონე ტურისტი მივიღეთო და მეორე დღეს, ნახევარი ბათუმი გადაწვეს. წარმოიდგინეთ, 26 მაისს ვინმეს პოლიციის მანქანა რომ დაეწვა და ნახევარი ქალაქი დაენგრია, ხალხს რას უზამდნენ?

— თქვენი აზრით, სასამართლო პროცესები როგორ დამთავრდება?

— დარწმუნებული ვარ, რომ „ფოტოგრაფების საქმე“ სააკაშვილ-მერაბიშვილისთვის ბრალის წაყენებით დასრულდება. საუბრის ბოლოს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვპირდები, რომ ჩვენი ფოტოაპარატები ყოველთვის მათკენ იქნება მიმართული, რომ საზოგადოებას მათი რეალური სახეები დავანახოთ. სადაც ჩემს ფოტოაპარატს დაინახავთ, გახსოვდეთ, რომ გიორგი აბდალაძის თვალი გიყურებთ!

ნელი თორდია
571 35 36 88

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

დავით უსუფაშვილის პოლიტიკური პარტიის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეაერთებს თუ არა მას ბიძინა ივანიშვილი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე?

გვესაუბრება პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, რამდენიმე დღის წინ დავით უსუფაშვილმა ახალი პარტიის შექმნა დააანონსა. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პოლიტიკაში დაბრუნება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?

— დავიწყოთ იქედან თუ რა შეიძლება შეიცვალოს უსუფაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით იმდენად რამდენადაც მის მიმართ, ამ პერსპექტივის თვალსაზრისით, გარკვეული სკეპტიციზმი არსებობს. ეს იმ „წარმატებებს“ ეყრდნობა, რაც არჩევნებმა, უშუალოდ, „რესპუბლიკელებს“ მოუტანა. გარდა ამისა, უსუფაშვილის მიმართ, რომელიც არჩევნებში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, პერსონალური უნდობლობაც იყო. ეს შედეგები შთამბეჭდავი არაა. ამიტომ, ირაკლი კობახიძის პერსონალური განწყობის ფონზე გაკეთებული სკეპტიკური შეფასებაც შესაძლოა ამ წარსულის გამოძახილია. შესაბამისად, თუკი ყველაფერი ისევ ისე იქნება როგორც ადრე იყო, შედეგებიც ისეთივე იქნება, როგორიც აქამდე იყო. მაგრამ უსუფაშვილმა არაერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მარცხიც ჰქონია, გამარჯვებაც და მთავარია, ახლა, სწორად გავიაზროთ, რა იყო მარცხისა და რა გამარჯვების მიზეზიო. თუკი ამის საქმეში

გადატანა მოხერხდა, ეს ჯანსაღი დამოკიდებულებაა. თუ იგი ამ მიზანს განახორციელებს და წარსულს, მომავლის პერსპექტივებს შეაფასებს, შეიძლება მან საზოგადოებას სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეთავაზება გაუკეთოს. ამ შემთხვევაში, ალბათ, უკვე, წარსული აღარ იმუშავებს.

საზოგადოებაში „რესპუბლიკელების“ მიმართ გარკვეული უნდობლობაა, რაც დაახლოებით, ასეთ შინაარსს გულისხმობს: „რესპუბლიკელები“ ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ; მათთვის მთავარი არის დასავლეთი და არა საკუთარი ქვეყანა; ასევე, მათთვის, დაკარგული ტერიტორიების საკითხი რაც მთელს საქართველოს ტკივა, მტკივნეული სრულებით არ არის და ა.შ. ანუ, საყვედურები კომპეტენციას არ ეხება, მაგრამ ეხება მათ ღირებულებებს, ეთიკას ფართო გაგებით და არა მარტო ქცევით, ასევე, მათ ერთგულებას სპეციფიკურად ქართული ღირებულებების მიმართ და იმას თუ რამდენად მოუვლიან და დაიცავენ ამ ღირებულებებს დასავლური გავლენისაგან რათა დასავლურმა ღირებულებებმა ეროვნული არ წაშალოს. აი, ამაში მოსახლეობა „რესპუბლიკელებს“ და, მათ შორის, უსუფაშვილს არ ენდობა. „რესპუბლიკელებისა“ და უსუფაშვილის გაყოფით, დაახლოებით, იგივე მოხდა, რაც „ნაცების“ გაყოფით ანუ, ორივე მხარე ისევ იგივე დარჩა, უბრალოდ, ერთმა სახელი გადაირქვა, მეტი არაფერი შეცვლილა.

— ბატონო რამაზ, საქართველოში საკმაოდ ბევრი პარტიაა. ჩვენისთანა პატარა ქვეყანას, წესით, რამდენი პარტია სჭირდება?

— დღეს, თუ საქართველოში ბევრი პარტიაა, ეს დიდი პრობლემა არ არის ისე როგორც ამერიკაში. იქაც, ფორმალურად ძალიან ბევრი პარტიაა. ამერიკის მსგავსად საქართველოშიც პარტიების დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზეა, მაგრამ არსებობს აქტიური პარტიებიც. ვერ ვიტყვი, რომ აქტიური პარტიების რაოდენობა ძალიან დიდია. პარტიები მათი მხარდამჭერების რიცხვით იზომება. ანუ, პარტიების დიდი რაოდენობა პრობლემაა მაშინ, თუკი ეს საზოგადოების ბევრ ნაწილად დაყოფას იწვევს. ჩვენთან ასეთი სიტუაცია არ არის.

— როგორ ფიქრობთ, რა რესურსით ქმნის უსუფაშვილი პარტიას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი რეიტინგი 3%-ს ვერ ასცდა. ფაქტობრივად, მათი მოსაზრებები არაფრით განსხვავდება „გირჩის“ თუ სხვა ლიბერასტული ფრთის იდეებისგან, რაც ქართული საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს?

— ვფიქრობ, თქვენ, ახლა, საკმაოდ საინტერესო თემა წამოსწიეთ. ლიბერალიზმის მიმართ მთელი მსოფლიო კურსი იცვლება, განსაკუთრებით, ტრამპის გაპრეზიდენტების მერე. ალბათ, ქართველ პოლიტიკოსებსაც მოუწევთ იმაზე დაფიქრება, რით არის მსოფლიოს ეს ტენდენცია გამოწვეული. ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, იმის ანალიზი თუ რა მოხდა ამერიკაში, თითქმის არ კეთდება. დიდი სიფრთხილით უყურებენ, სწორედ, იმას, რომ ვინმე არ გააღიზიანონ. ეს სრულიად გასაგები ტენდენციაა. სამწუხაროდ, პატარა ქვეყანა ვართ და ამ კვალობაზე ბევრ ვინმეზე ვართ დამოკიდებული. ერთ-ერთი ვისზედაც დამოკიდებული ვართ, ევროპა გახლავთ. დღეს, ქართველმა პოლიტიკოსებმა ლიბერალიზმის ბედ-იღბალზე მსჯელობა რომ დაიწყონ, შეიძლება ევროპელმა კოლეგებმა ეს, მათ მიმართ, როგორც ზურგის შექცევა ისე აღიქვან. მით უმეტეს, ვიცით, რომ ევროპა ტრამპის მიმართ დიდი სიმპათიით არ არის განმსჭვალული. მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენთვის მაინც დავფიქრდეთ. ფიქრს ხომ ყოველთვის ლაპარაკი არ სჭირდება. იფიქრონ იმის თაობაზე, რომ მსოფლიოში რაღაც ხდება და ეს იმ ნაბიჯებში გაითვალისწინონ, რასაც თითოეული მათგანი დგამს.

— ბატონო რამაზ, ულტრალიბერალიზმი ჩვენთან მყარადაა ფეხმოკიდებული. ეს ფრთა გაძლიერებულია სახელისუფლებო შტოებშიც, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ მასმედიაში. როგორ ფიქრობთ, ასე პარტნიორი ქვეყნის ინტერესებს ხომ არ ვუპირისპირდებით?

— ჯერჯერობით, ლიბერალიზმის სიკვდილზე ლაპარაკი ნაადრევია. თუმცა, შეიძლება განცხადებების დონეზე არ გადაიდგას ნაბიჯები, მაგრამ მხოლოდ გუმანის დონეზე ბევრი რამ გაკეთდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ არც ტრამპი არის ბოლომდე იმ მსოფლმხედველობის პოლიტიკოსი, რის დეკლარირებასაც არჩევნების დროს ახდენდა. მაგრამ მან და მისმა შტაბმაც კარგად შეისწავლა თუ რა მოლოდინები აქვს საზოგადოებას და სცადა ამისთვის ფეხი აეწყო. აი, ამ ტიპის პროცესს ვგულისხმობ როცა ვამბობ, რომ ქართველი პოლიტიკოსები იქნებ დაფიქრდნენ. არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც დღესვე ანტილიბერალისტები უნდა გახდნენ, მაგრამ ალბათ, უპრიანია, რომ ხალხის განწყობილებებში არსებულ ცვლილებებს ანგარიში გაუწიონ.

მეჩვენება, შეიძლება ვცდები, თუკი ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის უსუფაშვილიც, ტრამპის ილეთს გაიმეორებენ ანუ, იმით იხელმძღვანელებენ თუ რა უნდა ხალხს — რისი მოსმენა, დანახვა და გაკეთება, ვფიქრობ, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევენ. ტრამპი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მაგალითია საიმისოდ, რომ მიხვდე, როგორ შეიძლება იმოქმედო ხალხთან და რა არის საზოგადოების დიდი მასისთვის პოპულარობის პირობა. ანუ, როცა რომელიმე იდეოლოგიის ქანაქარა ერთ მხარეს იხრება, მერე, ხალხი, აუცილებლად, ითხოვს ქანქარის მეორე მხარეს გადმოხრას. უბრალოდ, იმის გრძნობა უნდა გქონდეს, რომ მიხვდე — როდის, სად არის ეს ქანქარა, როდის არის იმის დრო, რომ ერთ იდეოლოგიას მიჰყვე ან, როდის არის იმის დრო, რომ იგი კრიტიკულად შეაფასო. ამისთვის არის ხელსაყრელი ამერიკულ გამოცდილებაზე დაკვირვება და მისი კარგად შესწავლა.

— დღევანდელ ჩვენს პოლიტიკოსებში რამდენად არის იმის სიბრძნე, რომ მიხვდნენ, ქანქარა როდის, საით გადახარონ?

— ტრამპს, ამ შემთხვევაში, ამერიკა არ აღმოუჩენია ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით. მან, სწორედ, ამერიკა აღმოაჩინა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ანუ, აღმოაჩინა ის ტენდენციები, რომელსაც ამერიკელი ყოველთვის პოულობს. დასავლეთის პოლიტიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთ პიროვნებას არ აქვს. ამ ტიპის გათვლებს, დასავლეთში, როგორც წესი, ერთი პიროვნება არ აკეთებს, არამედ მისი ინტელექტუალური შტაბი, რომელზედაც დგას ეს პიროვნება. თუ ქართველ პოლიტიკოსებს არც ინტელექტუალური შტაბი აქვთ და არც საკუთარი ინტელექტი, მაშინ ჩვენი ლაპარაკი უაზრობა ყოფილა.

— ბუნებრივია, უსუფაშვილი პარტიას იმისთვის არ ქმნის, რომ მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს. ვინ შეიძლება იყოს მისი ფინანსური რესურსი, ივანიშვილი ხომ არა?

— ქართულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პიროვნება, რომელზედაც ძალიან ცოტა რამ ვიცით, უდაოდ, ბიძინა ივანიშვილია. ცოტა ვიცით მის გეგმებზე, განზრახვაზე და ა.შ. ამიტომ, მიჭირს იმის თქმა რა ჩანაფიქრი აქვს ივანიშვილს, როგორ უყურებს იგი, ზოგადად, ამ პოლიტიკური სპექტრის განვითარებას. მას შეიძლება ჰქონდეს სურვილი, რომ ძალაუფლების ბატონ-პატრონი მარტო „ქართული ოცნება“ იყოს. მიუხედავად იმისა, რომ რიგი პარტიების წარმომადგენლები ძალიან კრიტიკულები არიან: ივანიშვილი შუა გაიკრიფას პრინციპით მოქმედებსო, მსგავსი შუა გაიკრიფას პრინციპი არავის აუკრძალავს. თუ დავაკ-

4 გვ. →

რატომ ნიშნავს საქართველოს სიყვარული რუსეთის აგენტობას?

საკმარისია, რომელიმე პოლიტიკოსმა, გნებავთ, ექსპერტმა, ანალიტიკოსმა, მწერალმა თუ ჟურნალისტმა თქვას, რომ აუცილებელია რუსეთთან დალაპარაკება, ამის მთქმელს მყისვე მოღალატის და რუსეთის აგენტის იარლიყს მიაწებებენ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ინტერესებით, საქართველოს სიყვარულით და მის აწმყოსა და მომავალზე ფიქრით არის ნაკარნახევი.

საქართველოს სიყვარული რუსეთის აგენტობას ნიშნავს, თუ რაშია საქმე?

თუმცა, იქნებ, რუსეთი არაფერ შუაშია და სწორედ საქართველოს სიყვარული იკრძალება საქართველოში, რუსეთის ხსენება კი, უბრალოდ, მომგებიანი კოზირია იმისთვის, რომ საკუთარი სამშობლოსადმი სიყვარულის ხალისი დაგიკარგონ?!. ნაცბანდა დღემდე რუს ოლიგარქს ეძახის ბიძინა ივანიშვილს, რომ ამით დააკნინოს და გააბიაბრუოს ის უზარმაზარი მასშტაბების სიკეთე, რაც ამ კაცს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: თუ მართლაც რუსი ოლიგარქია ბიძინა ივანიშვილი, მაშინ ქება და დიდება რუსეთს, რომელიც თავის ოლიგარქს ნებას რთავს, მილიარდები მოახმაროს რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნის, საქართველოს, აღმშენებლობას.

კი, მაგრამ, სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა, თუ ლოგიკა და არგუმენტი არავის აინტერესებს — მთავარია, მათთვის სასურველი იარლიყი მოგაწებონ და ამით განგაიარაღონ, ანუ, როგორც ზემოთ ვთქვით, საკუთარი სამშობლოსადმი სიყვარულის და მსახურების სურვილი ღალატად და მტრულ ზრახვად ჩაგითვალონ.

„საერთო გაზეთი“

დავით უსუფაშვილის პოლიტიკური პარტიის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეაერთებს თუ არა მას ბიძინა ივანიშვილი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე?

← 3 გვ.

ვირდებით: ახლა, არიქა, დემოკრატიის გულისთვის ყველა დანარჩენ პარტიებს ხელი შევუწყოთო, ასეთი სტილი არცერთ სხვა პარტიას არ აქვს. ყველა თავისი საკუთარი ინტელექტით მოქმედებს. უბრალოდ, როდესაც სჭირდებათ სხვებს საყვედურობენ, სიკეთე რატომ არ არისო. პოლიტიკაში სიკეთე არ არსებობს. პოლიტიკა არის ბრძოლის არენა და საკმაოდ, დაუნდობელიც. ამიტომ, ამ შუა გაიკრიფას მოდელი, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეუძლებელიაო, ამის თქმა ძნელია. მეორე მხრივ, თუკი ივანიშვილი შუა გაიკრიფას მოდელით იხელმძღვანელებს, მაშინ მან ყველა ფიგურა უნდა ჩამოიშოროს, მათ შორის, უსუფაშვილი. თუ მას უსუფაშვილის ფიგურა ან პარტია როგორც პარტნიორი აინტერესებს ისევე როგორც მაშინ როცა პოლიტიკაში შემოდიოდა, შეიძლება მხარი დაუჭიროს. 2012 წელს ივანიშვილმა არჩევანი „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ გააკეთა, ვიმეორებ, შესაძლოა ხელახლა დაუჭიროს მხარი. მაგრამ მას მერე რაც მმართველი პარტიის წევრები „რესპუბლიკელებთან“ ურთიერთობის დროს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ — „რესპუბლიკელებს“ უფრო მეტი პრეტენზიები ჰქონდათ, ვიდრე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს საჭიროდ მიაჩნდათ, ამის მერე მათი გზები გაიყარა. გზები ერთხელ რომ გაიყრება, მერე, ადამიანთა შორის ეჭვი ისადგურებს. ამიტომ, შეიძლება ახლაც იყოს ასეთი მომენტი — „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ამ გუნდის მიმართ ნდობა არ ჰქონდეთ. მაშინ ივანიშვილი უსუფაშვილს და მის გუნდს ხელს არ შეუწყობს. უფრო მგონია, რომ ივანიშვილის როლი, ამ გუნდის ფეხზე დადგომაში, მინიმალური იქნება.

— როგორ ფიქრობთ, უსუფაშვილი პარტიის რიგებს „ქართული ოცნებიდანაც“ ხომ არ შეივსებს, თუნდაც საპარლამენტო უმრავლესობიდან?

— თუ „ქართულ ოცნებაში“ ვინმეს მმართველ წრეებთან, ელიტასთან ურთიერთობაში პრობლემა ექნება, იქ, შეიძლება ასეთი იმპულსი გაჩნდეს. მაგრამ თუ პრობლემა არ იქნება, მხოლოდ იდეოლოგიის საფუძველზე, არამგონია „ქართული ოცნებიდან“ უსუფაშვილის პარტიაში ფიგურების გადასვლა მოხდეს, რადგან ქართველი პოლიტიკოსები საკმაოდ პრაქტიკული ხალხია და არ უყვართ, გაუგებარი მოტივებით, პოლიტიკური პერსპექტივის დაკარგვა.

— ბოლოს, საკონსტიტუციო ცვლილებებზე გამართულ ორომტრიალზეც მინდა გკითხოთ მოსაზრება...

— როგორც ილია იტყოდა: რა გითხრათ, რით გაგახაროთ? არ მგონია, საკონსტიტუციო ცვლილებებზე გამართულ შეხლა-შემოხლას ქვეყნისთვის ის დრამატული მნიშვნელობა ჰქონდეს, რა დრამატიზმითაც არის-ხოლმე ამ საკითხზე ლაპარაკი. სამწუხაროდ, ყველა იმ ცვლილებაში რასაც ესა თუ ის მხარე ითხოვს, მხარეთა ინტერესები იკითხება. ფაქტობრივად, კი ითქმება, რომ ეს დემოკრატიის სახელით კეთდება და ა.შ., მაგრამ ამ ნათქვამის მიღმა იგულისხმება შემდეგი: თუ გინდა, რომ დემოკრატია იყოს, მე უნდა მომცე პარლამენტში გასვლის შანსი და ბარიერს დაუწიო, მაგალითად, სამამდე. პირდაპირ ამბობენ: თუ დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, პარტიების განვითარებას ხელი უნდა შეეწყოსო. არ მესმის რატომ უნდა შეეწყოს ამას ხელოვნურად ხელი? თუ პარტიას ადამიანთა მხარდაჭერის უნარი აქვს, მას არანაირი ხელშეწყობა არ დასჭირდება ისე დაუჭერს ხალხი მხარს. თუ პარტიას ამის უნარი არ აქვს, გამოდის, მმართველი ძალისგან ხელოვნურ ხელშეწყობას ითხოვს. პოლიტიკისთვის ასეთი სტილი მიუღებელია.

ძალიან ხშირად დემოკრატიის სახელით ხდება ის, რაც სინამდვილეში დემოკრატიაში არ ჯდება. დემოკრატია საკმაოდ მკაცრი, დაუნდობელი სისტემაა და ეს არ არის ჰუმანიზმზე და არიქა, ურთიერთდახმარებაზე აწყობილი სისტემა. ესაა სისტემა, რომელშიაც ყველამ თავის თავს უნდა მოუაროს.

მოსახლეობა ხედავს, ეს პარტიები თავიანთთვის იბრძვიან და არა მოსახლეობისთვის. ამიტომ, მეეჭვება მოსახლეობა ამ პარტიებს ბრძოლაში გვერდით დაუდგეს. მგონია, ყველაფერი ხმაურით, მაგრამ მშვიდად დამთავრდება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„გირჩი“ და გამოგირჩებულები

რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელი ააფეთქა ზურაბ ჯაფარიძის „მოძღვრების“ ვიდეო- ჩანაწერმა, რომელიც თავად პარტიულ-რელიგიური ორგანიზაცია “გირჩის” ერთ-ერთმა წევრმა საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა სადაც „გირჩის“ კენწერო“ჯაფარიძე ილია ჭავჭავაძეზე „კაიფობდა“აღნიშნულმა ფაქტმა სოციალური ქსელის მომხმარებლების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მთავარი მომენტია ის, რომ ჩანაწერი მისმა თანაგუნდელმა ატვირთა, ანუ „დატესტილი“ საზოგადოების აზრი, წინააღმდეგობა, პროტესტი მათთვის აღარაფერს ნიშნავს. მათ გაყიდულ სულს, მარტინ ლუთერი მართავს და ნებისმიერი ხერხით სურთ, გაა-ცამტვერონ ის ღირებულებები, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ერის გამანადგურებელი სიურპრიზები ჯერ წინა გვაქვს. მათი ზრახვის ნაწილობრივ, ამოსაცნობად საკმარისია ჩავიხედოთ „გირჩის“ „დაბადების მოწმობაში“ გადავხედოთ მათი პარტიის იდეოლოგიას და გავიხსენოთ ისიც, რომ რაღაც ორიოდე წელია ის, ნაციონალური მოძრაობის წიაღიდან იშვა. მაშ ასე, „გირჩის“იდეოლოგიაა -კლასიკური ლიბერალიზმი, ლიბერალიზმი, ლიბერტარიანიზმი და პრო-ევროპეიზმი (რა უწვალიათ). ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგია -კლასიკური ლიბერალიზმია. „გირჩს“ თურმე სჯერა, რომ თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა და ადამიანს ღიად და თავისუფლად უნდა შეეძლოს თავი მიაკუთვნოს ნებისმიერ რელიგიურ კონფესიას, გამოთქვას აზრი საჯაროდ (საკუთარი ხარჯით), არ გახდეს ძალადობის მსხვერპლი განსხვავებული მოსაზრების, რელიგიური კუთვნილების, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, ქონებრივი მდგომარეობის ან ნებისმიერი უმრავლესობისგან განსხვავებული ნიშან-თვისების გამო. „გირჩი“ მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და „ნატოში“. რაც შეეხება ლიბერტანიზმს - ისტორიკოსი, ჯორჯ ვუდკოკის განმარტებით, გახლავთ - ფილოსოფია, რომელიც ავტორიტეტის არსებობას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და საზოგადოების ტრანსფორმაციას რეფორმით ან რევოლუციის გზით ხედავს. ლიბერტარიანელი ფილოსოფოსი როდერიკ ლონგი ლიბერტარიანიზმს განმარტავს, როგორც „ნებისმიერი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს ძალაუფლების რადიკალურ გადაცემას ძალდატანებითი სახელმწიფოსგან თავისუფალი ინდივიდების მოხალისეობრივი ასოციაციების ხელში“, მიუხედავად იმისა „მოხალისეობრივი ასოციაცია“ მიიღებს თავისუფალი ბაზრის თუ კომუნალური კოოპერატივის ფორმას. აშშ-ს ლიბერტარიანული პარტიის მიხედვით, ლიბერტარიანიზმი არის ისეთი მთავრობის მხარდაჭერა, რომელიც მოხალისობრივად ფინანსდება და მისი მოვალეობები შემოიფარგლება დაიცვას ინდივიდები ძალადობისგან. ლიბერტარიანული აზროვნების სკოლები განსხვავდებიან სახელმწიფოს უფლებების შემცირების ხარისხით. ანარქისტული სკოლები მხარს უჭერენ სახელმწიფოს სრულ გაუქმებას. მონარქისტული სკოლები სახელმწიფოს მოვალეობად მხოლოდ მოქალაქეების აგრესიისგან, ქურდობისგან და თაღლითობისგან დაცვას მიიჩნევს. მოკლედ „გასაქანი“გირჩელებს ფართო აქვთ, თუმცა, გააჩნია საით დაუბერავს დასავლეთის ქარი...

ნაცმოძრაობის შვილობილი ძველ-ახალი პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველო“ — საჯარო რეესტრში, დარეგისტრირდა 1999 წლის 28 მაისს და თავმჯდომარეობდა ნუგზარ წერეთელი. (გიგი წერეთლის მამა) მას შემდეგ, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ორად გაიყო, ხელახალი რეგისტრაცია 2016 წლის 12 აგვისტოს გაიარეს ხოლო, 2017 წლის 30 იანვარს „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველოს“ პრეზენტაცია გაიმართა, და გენერალურ მდივნად გიგი უგულავა დაინიშნა. იდეოლოგიის გრაფაში მითითებულია ლიბერალ-კონსერვატიზმი. ლიბერალიზმი გახლავთ, ღირებულებების სისტემა, რომელიც გულისხმობს თანასწორობისა და თავისუფლების პრიმატს. ლიბერალი(ვიწრო გაგებით) ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დადგენილ წესრიგს და მემარცხენე პოზიციიდან ცდილობს მის გაკრიტიკებას, ანუ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ პრობლემებზე. (თითქოს, სოციალური პრობლემების უზარმაზარი ნუსხა, თავის ანასკნელს მიეკუთვნება “რესპუბლიკელების “ პარტია აშშ-ში და “კონსერვატორების” პარტია დიდ ბრიტანეთში...ვფიქრობ, რომელი-„ძველი ფასეულობის“დაბრუნებას შეეცდება უგულავას გუნდი ახსნას არ საჭიროებს!

„დიადი“ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიაა--ნეოკონსერვატივიზმი - რომელიც დასაბამს შეერთებულ შტატებში იღებს. მისი ძირითადი განმასხვავებელი მიმართულება საერთაშორისო ურთიერთობებშია, სადაც ის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას ლობირებს, ეროვნული ინსტერესების (როგორც ეს ნეოკონსერვატორებს ესმით) დაცვის მიზნით. პირველი ნეოკონსერვატორები იყვნენ ძირითადად ებრაელი ლიბერალები რომლებიც ეწინააამდეგებოდნენ ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას და ამას ხსნიდნენ ამერგუნდთან ერთად უგულავამ არ დაუტოვა მოსახლეობის უმრავლესობას). კონსერვატიზმი ლიბერალიზმისგან განსხვავებით არის უფრო ისეთი მიდგომა, რომელიც ცდილობს ძველი ფასეულობების შენარჩუნებას, მეწარმეობის ხელშეუხებლობას, რეფორმების არა აუცილებლობას. ანუ არსებული “სახელისუფლო” ფასეულობების შენარჩუნებას. ამ ლოგიკით არსებობს ფაშისტი კონსერვატორი და ლიბერალი კონსერვატორი. ამ უკმებსაც, მათ სკეპტიციზმს როგორც მრავალკულტურულობის, ასე იმგვარი ზეეროვნული გაერთიანების მზარდი გავლენის მიმართ, როგორიცაა გაერო თუ ევროკავშირი. ნეოკონსერვატიზმი საგარეო პოლიტიკისადმი თავისებურ მიდგომადაც კი ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით ა.შ.შ.-ში. ტრადიციული კონსერვატორებისგან განსხვავებით ნეოკონსერვატორები არ ეწინააღმდეგებიან მინიმალურად ბიუროკრატიულ სოციალურ სახელმწიფოს, და ზოგადად ემხრობიან რა ლიბერალურ ეკონომიკას, საჭიროებისამებრ არ არიან მასში ჩარევის წინააღმდეგი, გარკვეული სოციალური მიზნების მისაღწევად. ეს ტერმინი სულ უფრო ხშირად ხდება მედიის ყურადღების ცენტრში ჯორჯ ბუში უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდში. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ნეოკონსერვატორთა ზეგავლენას, როგორც “ბუშის დოქტრინის” ნაწილს. ვფიქრობ ქვეყნის დასანგრევად და გასანადგურებლად შესაფერისი იდეოლოგიაა.

„ნაცმოძრაობის“ სიხლითმონათესავე, თავისუფალი დემოკრატებს და რესპუბლიკური პარტიას ერთი იდეოლოგია აქვთ-ლიბერალიზმი! პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით თავისუფლება ძირითადი პოლიტიკური ღირებულებაა. თუმცა ლიბერალურ თავისუფლებაში სულის გახრწნა და საუკუნო მონობა იმალება...

ისმის კითხვა, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში რომელი პარტიის იდეოლოგია ემსახურებოდა ქვეყნის და ხალხის ინტერესს? „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. იდეოლოგია-ნაციონალიზმი. რომლის მიხედვითაც ერი ანუ „ნაცია“არის საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილი და ქვაკუთხედი. ამასთანავე ერის ინტერესი და ერთგულება ყველა ჯგუფისა და ინდივიდუალის ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს. თავდაპირველი ნაციონალისტური (ეროვნული) მოძრაობები ჩამოყალიბდა საფრანგეთში მეფის დასამხობად მოწყობილ 1793 წლის რევოლუციის შემდეგ. მოგვიანებით XIX საუკუნეში ნაციონალისტურმა იდეებმა მოიცვა ევროპის მრავალი ქვეყანა. ამ პერიოდში გერმანიაში ოტო ფონ ბისმარკის ნაციონალური მთავრობა მოვიდა, საფრანგეთში ნაპოლეონმა გაიმარჯვა, იტალიაში ნაციონალისტების წინსვლის შემდეგ ქვეყანა გაერთიანდა. XX საუკუნის ორი მსოფლიო ომის მიზეზი რადიკალური ნაციონალისტური იდეები გახდა. ამის გამო 1945 წლის შემდეგ ევროპაში რადიკალურმა ნაციონალიზმმა კრახი განიცადა. 1988-1991 წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო ნაციონალიზმის გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპასა და ამიერკავკასიაში. ნაციონალიზმის მაგალითები საქართველოში გვხვდება ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობაში. თანამედროვე ევროპაში, განსხვავებით XIX საუკუნის ევროპისაგან, ნაციონალიზმი აღარ წარმოადგენს გაბატონებულ იდეოლოგიას. მიუხედავად ამისა ის რჩება მრავალი პოლიტიკური პარტიის მთავარი იდეოლოგიად. ისინი უმეტესად ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებული დემოკრატიის მომხრეებად, ისლამიზაციის წინააღმდეგ და ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად გამოდიან. ნაციონალისტურ პარტიებს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს პარლამენტში ჰყავთ დეპუტატები... ალბათ გასაგებია მამა ბუშმა და მისმა სულიერმა ძმამ-ელცინმა რატომ გააჩაღა სამაგალითო ნადირობა ზვიად გამსახურდიაზე...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ვფიქრობთ, მაჟორიტარული სისტემის სრულად გაუქმება, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება, შეცდომაა

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დააფინანსოს ბიუჯეტმა, რომლის დაფინანსების წყარო ხალხია, ის პარტიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ და მხოლოდ ოჯახის წევრები თუ მისცემენ არჩევნებზე ხმას.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი გვესაუბრა.

– ხელისუფლება ფიქრობს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის დამკვიდრება პროგრესული ნაბიჯია.

პროპორციული სისტემა რიგ ევროპულ ქვეყნებში წლებია მოქმდებს და დემოკრატიული მმართველობის საფუძველს ქმნის, მაგრამ რამდენად გაამართლებს საქართველოში მაჟორიტარული სისტემის სრულად გაუქმება, რთულია ამის პროგნოზირება. ხსენებული სისტემის გაუქმებას საპარლამენტო უმრავლესობაშიც აზრთა სხვადასხვაობა მოყვა, ამის დასტურია ფრაქცია „ქართული ოცნება“ - რეგიონების განვითარებისთვის“ თავმჯდომარის კახა ოქრიაშვილის საკმაოდ მკვახე განცხადება. მან აღნიშნა, რომ მხარს არ უჭერს მაჟორიტარული სისტემის და თანაგუნდელების დასარწმუნებლად ყველა ღონეს მიმართავს. დეპუტატ ოქრიაშვილის განცხადება უფრო იმით იყო სკანდალური, რომ მან ხსენებული სისტემის გაუქმების მიზეზად, პრაქტიკულად ხელისუფლებაზე ამერიკელების გავლენა დაასახელა. მაჟორიტარობა საუკეთესო მოდელია, თუ არ ვარგა, მაშინ ამერიკელებმაც გააუქმონო. ჩანს, რომ ოქრიაშვილის ასეთ თამამ განცხადებას მაჟორიტარული წესით არჩეული სხვა დეპუტატებიც იზიარებენ.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არ უნდა გაუქმდეს, სანამ არ იქნება საარჩევნო სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი დასაბუთება. ჩვენ ნუ გვავიწყდება, რომ დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მოქმედი კონსტიტუციით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა – რესპუბლიკის საბჭო და სენატი. კონსტიტუციის ახალ მოდელში აღარ არის ეს ჩანაწერი, შესაბამისად, ორმაგად მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემის მომავალი რეფორმა, თანხვედრაში იყოს კონსტიტუციურ პრინციპებთან და ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობის რეფორმასთან. ვფიქრობთ, საარჩევნო სისტემის რეფორმა არ უნდა გახდეს პოლიტიკური გარიგებების, მათ შორის, შესაძლო ფარული გარიგებების შემადგენელი ნაწილი. მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასაც აქვს ხარვეზი, მაგრამ რეგიონალურ-პროპორციულ სისტემასთან შედარებით, ბევრად ხელსაყრელი და სარგებლიანია ჩვენი მოსახლეობისთვის.

– საზოგადოებას ძალზე აინტერესებს პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი, ვის და რატომ ვაფინანსებთ?

- კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ბიუჯეტიდან პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ის პარტია იღებს, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა არჩევნებში და მან ან შესაბამისმა ბლოკმა მიიღო ამომრჩევლის 3% ან 3%-ზე მეტი. ხსენებული კანონის მიხედვით, საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300.000 ლარს, ხოლო თუ დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას ან ბლოკს ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში მიღებული აქვს ამომრჩეველთა ხმების 6% ან მეტი, მისი საბაზო დაფინანსება ორმაგდება. საქართველოში უამრავი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, მაგრამ მათი უმრავლესობა არაპოპულარობის გამო მოსახლეობის ნდობას ვერ იმსახურებს და საარჩევნო ბარიერს მიღმა რჩება. 2016 წლის ივლისის თვის მონაცემებით, ქვეყანაში 238 პარტია იყო რეგისტრირებული, აქედან 226 მოქმედი, ხოლო 12 გაუქმებული. 2016 წელს ექვსი პოლიტიკური პარტია დაფუძნდა, მათ შორის ზურაბ ჯაფარიძის „გირჩი“, პატუსის მქონე პარტიების რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ დაფინანსებას, 11-დან 20-მდე გაიზარდა. ამ პარტიების დაფინანსებისთვის ბიუჯეტიდან ჯამში ცხრა მილიონ ლარზე მეტი გაიცემა. აი, ამ პარტიების ჩამონათვალი: „კონსერვატიული პარტია“ - 236.572 ლარი; მრეწველები – 536,572 ლარი; რესპუბლიკური პარტია – 236.572; „ეროვნული ფორუმი“ - 236.572 ლარი; „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ - 598.698 ლარი; „ქართული ოცნება“ - 2.082.238 ლარი; „თავისუფალი დემოკრატები“ - 512.196 ლარი; „ლეიბორისტული პარტია“ - 472.812 ლარი; ნაცმოძრაობა - 1.122.526 ლარი; „ევროპული საქართველო“ - 895.726 ლარი; „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ - 241.625; „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ - 997.037 ლარი; „პატრიოტთა ალიანსი“ 744.008 ლარი; ტრადიციონალისტები – 87.024; „თავისუფალი საქართველო“ - 87.024 ლარი; „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა“ - 87.024; „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ - 87.024 ლარი; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ - 87.024 ლარი; მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ - 195.511 ლარი; „სამოქალაქო პლატფორმა –ახალი საქართველო“ 195.511 ლარი.

გასულ წელს პოლიტპარტიების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 12.785,000 ლარი გამოიყო, 2015 წელს პარტიები ანალოგიური თანხით ფინანსდებოდნენ, ხოლო 2014 წელს – 14.248.900 ლარით დაფინანსდნენ. 2016 წელს არჩევნების ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან 34.371.400 ლარი იყო გამოყოფილი, 2015 წელსაც ანალოგიური თანხა, ხოლო 2014 წელს 35.512.200 ლარი. 2016 წლის ნოემბრის მონაცემით, კვალიფიციურმა სუბიექტებმა 32 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღეს, ამ თანხის უდიდესი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ აქვს მიღებული, შემდეგ მოდის ნაცმოძრაობა, მესამე ადგილზე „პატრიოტთა ალიანსია“. ყოველივე ზემოაღნიღნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანად ისმის კითხვა, რამდენად სამართლიანია იმ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, რომლებიც ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურ როლს აღარ ასრულებენ. ვფიქრობ, ისინი ბიუჯეტიდან აღარ უნდა ფინანსდებოდნენ, ბიუჯეტი ხალხის სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული უნდა გახდეს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მამა ბასილი:

სექტანტების და სატანისტების მღვდლად კურთხევა უდიდესი მკრეხელობა და უმძიმესი ცოდვაა

ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.

— მამაო, როგორ შეაფასებთ პოლიტიკური პარტია „გირჩის“ მოქმედებას, რომელმაც მღვდლების კურთხევა დაიწყო?

— „ნაცმოძრაობა“ ძნელად განსაკურნებელი ჭირი გახდა. ხელისუფლებამ იმდენად მიუშვა თავის ნებაზე, ისე ღრმად გაიდგეს შხამიანი ფესვები, ყოველივე მოიცვეს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ბოროტმოქმედთა ორგანიზაცია სამ ნაწილად დაიყო და თითოეული მათგანი პირველობისთვის — უფროსობისთვის იბრძვის. საინტერესოა, ვის „გაუღიმებს“ ბედი. მიუხედავად მათი დანაწევრებისა, ყოველ ხერხს მიმართავენ, რათა საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვონ

და კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. მათი ერთ-ერთი დაჯგუფება ორგანიზაცის „გირჩის“ სახით მოგვევლინა. ისინი, ვგონებ, ჭკუაზე შეშლილები არიან, ჯერ იყო და მარიხუანა დათესეს, რითაც მიიზიდეს ნარკომანები და პარტიაში გააწევრიანეს, შემდეგი მათი ყოვლად არანორმალური ქმედებები იმაში გამოიხატა, რომ „მღვდლებად“ კურთხევა დაიწყეს, რათა სამხედრო სამსახურში არ გაიწვიონ. ეს ქმედება საშინელი ცოდვაა უფლის წინაშე. მღვდლად კურთხევა საეკლესიო საიდუმლოებაა, რომელიც მკაცრი კანონის დაცვით აღესრულება. ამ სატანური დაჯგუფების, ანუ სექტის ლიდერი ვინმე ზურაბ ჯაფარიძე, იეღოველთა სექტის დამაარსებლის რასელის ნაშიერია.

— მამაო, რას ფიქრობთ, საპატრიარქო რატომ არ რეაგირებს მღვდლებად კურთხევასთან დაკავშირებით?

— საპატრიარქოს ჯერ კიდევ მაშინ უნდა დაერისხებინა განგაშის ზარები, როცა სასულიერო პირმა ღია ეთერში განაცხადა, რომ თვით თესავს მარიხუანას და ეწევა კიდეც. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი მტკივნეულად განიცდის ეკლესიის ინდიფერენტულობას, ელოდებიან მათგან რადიკალური პოზიციის გამოხატვას, მაგრამ, ამაოდ. სწორედ ასეთი ქმედება ერში თესავს უნდობლობას ეკლესიის მიმართ. ღვთის მსახურთა უმოქმედობა სექტანტების, ანტიქრისტეს მოციქულების წისქვილზე ასხამს წყალს, რის გამოც ისე გათავხედდნენ, მღვდლებად აკურთხებენ ერთმანეთს. ვინც გაიხსენებს უახლოეს წარსულს, ჩახვდება, რომ მაშინ ერთადერთი მღვდელი ვიყავი, რომელიც ვებრძოდი ამ უმსგავსოებას, ვებრძოდი ახლად ჩამოყალიბებულ იეღოველთა სექტას. სექტას, რომელიც მაშინ მხოლოდ ჩანასახში იყო და შეიძლებოდა მათი ქმედების აღმოფხვრა. მაშინ ეკლესია დუმდა, უფრო მეტიც, ვაგონებით მათგან ქრთამს იღებდნენ პროდუქტების სახით. არაერთხელ მითქვამს ამაზე. დღეს კი, იქამდე მივიდნენ, დღეს სახელმწიფოს წარმმართველ რგოლებში შეაღწიეს და იქიდან შენიღბულად ებრძვიან მართლმადიდებლობას.

ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ზოგიერთი ფარისეველი, „მწიგნობარი“, ე. წ. მღვდელი განმიკითხავს მე, სასულიერო პირს, რომელიც მრევლთან ერთად დღე და ღამ იმაზე ვფიქრობთ, რა სიკეთე მოვუტანოთ ქვეყანას, როგორ დავიცვათ მართლმადიდებლობა: მაგრამ „თითოეული ადამიანი საკუთარი საქმეებით უნდა ადასტურებდეს თავის წოდებას“.

— ვინ გყავთ მხედველობაში?

— 25 აპრილს ინგა გრიგოლიასთან ტელეგადაცემაში მიწვეული იყო ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება — „გირჩების“ წარმომადგენელი და დამაარსებელი, სულით და გულით „ნაციონალი“ ზურაბ ჯაფარიძე. მიწვეული ჰყავდათ, აგრეთვე, საპატრიარქოს წარმომადგენელი ვინმე დეკანოზი ალექსანდრე გალდავა. მოვიყვან ციტირებას მისი საუბრიდან: „... მე გეტყვით, მაგალითად, ბასილ მკალავიშვილი, მოძღვარი, მართლმადიდებელი იყო, მაგრამ განკვეთილია ეკლესიიდან და მისი მღვდელმოქმედება აღარ ითვლება მღვდელმსახურებად, თუმცა დოქტრინალურად მას არაფერი შეუცვლია, რადგან მან აღმართა სხვა საკურთხეველი, ამიტომ ის აღარ ითვლება მართლმადიდებლად...“

შევახსენებ მას: მე საპატრიარქოს განვუდექი დროებით, იმის გამო, რომ პირველი, რასაც მოვითხოვდი, დაეტოვებინა საქართველოს ეკლესიას ეკლესიათა მსოფლიო ეკუმენისტური საბჭო. მოვითხოვდი, მიგვეხედა სექტებისთვის, განსაკუთრებით იეღოველთა სექტისთვის, რომლებიც ებრძოდნენ ერის ტრადიციას, წინაპართა მონაპოვარს, ეკლესიას, ხატს, ჯვარს. ყურად არ იღეს, პირიქით, გარკვეულწილად თანაუგრძნობდნენ. მე უმსგავსოებაზე პირში წყალს ვერ ჩავიგუბებდი. გადავწყვიტე, მებრძოლა ჩემი რწმენის დასაცავად. ვებრძოდი იმ ბრბოს, რომელიც ყოველ დღე პროგრესირებდა ავის მომასწავებლად, ვებრძოდი ღმრთის მგმობელებს, რომლებმაც თვით საქართველოს შინაურ მტრებთან ერთად ქვეყანა დღევანდელ უკიდურესობამდე მიიყვანა. ქვეყანა თავზე გვენგრევა, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვდგავართ, პირწავარდნილი ჯორჯ სოროსი ვაი-ქართველთა ხელშეწყობით გააფთრებული მხეცივით დრტვინავს, რათა წარხოცოს ყოველგვარი ქართული, ფინანსურად ეხმარება ორიენტაციადაკარგულ ადამიანებს, სხვადასხვა ქვეყნებში აყალიბებს ე. წ. „ევროპულ უნივერსიტეტებს“ და ასეთი სატყუარებით უბიძგებს წარწყმედის მორევისაკენ. სწორედ სატანა სოროსის დასაყრდენია „ნაცმოძრაობის“ მესვეურნი.

რაც შეეხება გალდავას, ვურჩევდი ამ ე. წ. დეკანოზს, ჩაიხედოს დიდი სჯულის კანონში. მე რაც გავკეთე, ყოველივე ეკლესიური დოგმატების დაცვით გავაკეთე. დროებით ვემორჩილები საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს. ეს უბადრუკი პარალელს ავლებს ჩემსა და ნაციონალებს შორის. სისხლისმსმელებს შორის, რომელთა მხილების გამო 5 წელი საპყრობილეში გავატარე.

გრცხვენოდეს შენი საქციელის გამო, ე. წ. დეკანოზო. შენ არ გესმის დედა ეკლესიის არსი. ჩვენ, დედა ეკლესიის შვილები ვიყავით, ვართ და ვიქნებით. გააცნობიეროს ალექსანდრე გალდავამ, დედა ეკლესია არს თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მისი მცნებებითა და კანონებით და არა სჯულის დამრღვევთა შესაკრებელი.

იმის ნაცვლად, რომ სამაგიერო მიეზღო მოღალატეთათვის, მე განმიკითხავდა. ბოლოს კი ისეთი უძლური გახდა „გირჩების“ წარმომადგენლების წინაშე, მათთან საუბარს გაექცა. შევახსენებ ვაი მღვდელს, რომელსაც საპატრიარქო ჰგონია დედა ეკლესია და დანარჩენ ეკლესიებს მართლმადიდებელ ეკლესიებად არ თვლის, მე თავი დამანებოს, რამეთუ საღმრთო მსახურებაში მწიკულს ვერვინ მიპოვის. ნუ მიწვევს. მართალ ადამიანს უკან მიხედვის არ ეშინია. ამ პრინციპით მივაბიჯებ მთელი ცხოვრება. უმჯობესია, საპატრიარქოში მიმდინარე გაურკვეველ, ბურუსით მოცულ მოვლენებს მიხედოს. მიხედოს სულიწმიდის მგმობელ, გამყიდველ სასულიერო პირებს, რომლებიც თავიანთ პატრიარქს მოწამვლით უპირებდნენ განადგურებას. აი, ისინი უნდა ამხილოთ, სწორედ ისინი და ძმანი მათნი არიან განკვეთილნი დედა ეკლესიიდან და არა მე, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკლესიების მშენებლობით და აღდგენით ვარ დაკავებული და ქრისტეს რჯულისთვის უამრავი ტანჯვა გადავიტანე. უკომპრომისოდ ვიბრძვი დღემდე სარწმუნოების დასაცავად. ვურჩევ მას, საკუთარ მე-ში ჩაიხედოს, სიღრმით სულისად და იქნებ გაავლოს პარალელი, ვის რა უკეთებია უფლის საამებლად. იქნებ, მე ის დავაშავე, რომ ეკლესიის ზღურბლზე საცხოვნებლად მოსულთ ჯიბეში არ ვუყურებ და უანგაროდ ვემსახურები. იქნებ, ჩახვდეთ (ღვთის მსახურს ეს არ უნდა ეშლებოდეს), რომ მართლმადიდებელნი, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, ყველა ერთნი ვართ უფლისათვის? შემიძლია ჩაგიტაროთ გაკვეთილები და ბევრ რამეში გაგარკვიოთ...

— მამაო, აფხაზეთში, სადაც ქართველებს სახლ-კარი დაატოვებინეს, მათი ბინების ფანჯრებზე დედა ღმრთისმშობლის სახე ისახება თურმე, როგორ ავხსნათ ეს ამბავი?

— აფხაზეთის მიწა-წყალი და იქ არსებული სალოცავები მკვიდრთ უხმობს საკუთარ სახლებში დასაბრუნებლად. ამ საქმეში თვით ყოვლადწმიდა დედა გამოხატავს შემწეობას. ახლა კი მთავრობის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, სასწრაფოდ მოლაპარაკება აწარმოონ რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა საკუთარ კერას დაშორებულნი დააბრუნონ თავიანთ ბუდეში. სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებენ, რამეთუ პირსისხლიანმა სააკაშვილმა ისეთი ბარიერი აღმართა რუსეთსა და საქართველოს შორის, საკმაოდ რთულია გადალახვა.

ამერიკა როგორც კი შეატყობს რუსეთთან მიმართებაში რაიმე საფრთხეს, უმალვე მოლაპარაკებაზე მიდიან. თქვე კაი დედმამიშვილნო, თქვენ რაღა დაგემართათ, იქნებ, მოლაპარაკების გზით გეცადათ, დაგებრუნებინათ ჩვენი ძირძველი, ულამაზესი, დაკარგული ტერიტორიები.

გარწმუნებთ, ღმერთი იმაზე დიდ გასაჭირს არ მოგვივლენს, რის გადატანასაც ვერ შევძლებთ. დავითმინოთ. გავიხსენოთ, რა იწვნია თვით უფალმა ჩვენი ცოდვებისათვის. ყოველ დაღმართს აღმართი მოსდევს, ჩვენ ღმერთი არ მიგვატოვებს, მხოლოდ მთელი არსებით უნდა მივენდოთ მას და ყოველივეს გადავლახავთ. გაიხსენეთ, „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ჩრდილოეთ კორეა – აისბერგი ატომური ბომბით

მსოფლიო XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ომის საშიშროების წინაშე დგას. დაპირისპირების მიზეზი ამჯერად ჩრდილოეთ კორეა, იგივე კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა. ქვეყანამ წლეულს ცხრაჯერ გამოსცადა ბალისტიკური რაკეტები, რამაც, თავისთავად, მეზობელი სამხრეთ კორეისა და მათი მთავარი მოკავშირის აშშ-ის გაღიზიანება გამოიწვია. შეაშფოთა სხვა მეზობელი ქვეყნებიც, რადგან ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი ერთპიროვნული მმართველი კიმ ჩენ ინი, როგორც მსოფლიოს პოლიტოლოგები აღნიშნავენ, არაპროგნოზირებადია. ბირთვული იარაღისა და სამხედრო შეიარაღების გაძლიერებას ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ქვეყნის უსაფრთდოებას უკავშირებს. მისივე განცხადებით, ერაყში, ლიბიაში და სირიაში არ მოხდებოდა კონფლიქტები, მათ სათანადო შეიარაღება რომ ჰქონოდათო.

კორეის ნახევარკუნძულს საკმაოდ საინტერესო წარსული აქვს. ისტორიული წყაროებით, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით 700 წლისათვის კორეის სამეფოში კულტურული თუ ეკონომიკური აღმავლობა იყო. ვრცელდებოდა ჩინური და იაპონური კულტურა. სწორედ ჩინეთიდან შეიტანეს ბუდიზმი და კონფუციანელობა. მე-13 საუკუნის დასაწყისში კორეა მონღოლებმა დაიპყრეს. მათგან გათავისუფლება კორეელებმა 1392 წელს შეძლეს და ქვეყანაში კვლავ დადგა აღორძინების ხანა.

ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ იაპონელებმა სცადეს კორეის დაპყრობა, მაგრამ მათ შეტევების მოგერიება შეძლეს. თუმცა, იმავე პერიოდში, Aჩინელებმაც შეუტიეს კორეას. იაპონელებთან ომით დასუსტებულმა კორეამ ვეღარ შეძლო ჩინელებთან გამკლავება. კორეა ჩინეთ-იაპონიის ომის მიზეზი 1894-1895 წლებში გახდა, რომელშიც იაპონელებმა იმარჯვეს და ქვეყნის სრული ოკუპაცია მოახერხეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კორეელები არაერთხელ აუჯანყდნენ იაპონელებს, მაგრამ უშედეგოდ.

იაპონელთა კორეიდან განდევნა 1945 წელს მოხდა, როდესაც ჩრდილოეთი კორეა საბჭოთა კავშირმა, ხოლო სამხრეთი აშშ-მ დაიკავა. კორეის ორ სახელმწიფოდ გათიშვა საბოლოოდ 1948 წელს მოხდა.

ნახევარკუნძულის გაერთიანებისა და კორეის ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზნით 1950 წელს ჩრდილოეთის მაშინდელმა მმართველმა კიმ ირ სენმა სამხრეთელებს ომი გამოუცხადა. აქვე სათქმელია, რომ კიმ ირ სენი ჩრდილო კორეის სულიერი ლიდერია და მისი დაბადების დღეს ამჟამადაც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ. ეს კი არა, ჩრდილოეთ კორეელებისთვის მისი დაბადების წლიდან იწყება ახალი წელთაღრიცხვა.

1950 წელს დაწყებული ომი სამ წელს გაგრძელდა. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ომს გამარჯვებული არ გამოუვლენია და 1953 წლიდან დღემდე ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეა „პასიური ომის“ მდგომარეობაში არიან.

ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში ერთ-ერთი უცნაურ ქვეყანად იქცა. იგი ჩაკეტილ სახელმწიფოდ ითვლება და იქ მიმდინარე მოვლენებზე მწირი ინფორმაცია ვრცელდება. ქვეყნის მოსახლეობა 23 მილიონს აღემატება, რომლის 10 პროცენტი სამხედრო მოსამსახურეა. საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლებას შეუძლია ორჯერ მეტი რაოდენობის ადამიანის მობილიზება ჯარში. ამიტომაც ითვლება, რომ ცოცხალი ძალით ჩრდილოეთ კორეას მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი არმია ჰყავს. სამაგიეროდ, მოსახლეობა ინტერნეტით ვერ სარგებლობს. მობილურ ტელეფონებზე შეზღუდვა, დაახლოებით, ათი წლის წინ მოიხსნა. შეიძლება ვთქვათ, რომ მოსახლეობა ვაკუუმშია.

თუ დავუჯერებთ იქაურ მიმომხილველებს, ბოლო წლებში მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში მცირედი წინსვლა იგრძნობა. როგორც ამბობენ, კიმ ჩენ ინმა მეუღლის გავლენით, ქალებს დართო ნება, ჩაიცვან შარვლები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, იარონ ველოსიპედით. თავად კიმ ჩენ ინი საკმაოდ განვითარებულია. განათლება უცხოეთში აქვს მიღებული. უყვარს ესტრადა და კალათბურთი. განსაკუთრებით NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატს ადევნებს თვალს. მიუხედავად ამისა, იგი სისასტიკით გამოირჩევა. როგორც ამბობენ, საკუთარი ბიძა სასტიკი წამებით მოკლა. საინტერესოა ის გარემოება, რომ მოსახლეობას სჯერა კარგი ცხოვრების და არც რაიმეს შეცვლა სურთ. ქვეყნის ფინანსური მარაგის დიდი ნაწილი ატომური პროგრამის და სამხედრო შეიარაღებისკენ არის მიმართული. გაჭირვების მიუხედავად, მოსახლეობა ყველაფერს ითმენს.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას. ბოლო ბალისტიკური რაკეტის გამოცდა კიმ ირ სენის დაბადების დღეს დაამთხვიეს აპრილის შუა რიცხვებში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომიდან რამდენიმე საათში, სადაც სწორედ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შეიარაღების შეჩერებაზე ისაუბრეს. სწორედ ეს გახდა აშშ-ის ადმინისტრაციის გაღიზიანების მიზეზი. პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაემუქრა კიდეც ჩრდილოეთ კორეას სამხედრო ძალის გამოყენებით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით შეარბილა თავისი გამონათქვამები.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების (მათ შორის ავიამზიდები და ატომური წყალქვეშა ნავი) ნაწილი ყვითელ და იაპონიის ზღვის აკვატორიებში იმყოფება. იაპონიის ზღვაში დაგეგმილია აშშ-ისა და იაპონიის ფლოტის ერთობლივი სამხედრო წვრთნები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იაპონიას არ აქვს უფლება (1945 წლიდან მოყოლებული, დღემდე), ჰყავდეს შეიარაღებული ძალები. თუმცა, მათ მონახეს გამოსავალი და შეცვლილი სახელით 250 ათასზე მეტი შეიარაღებულიიგივე სამხედრო მოსამსახურე ჰყავთ.

სამხრეთ კორეაში აშშ-მა თავიანთ ბაზებზე გაზარდეს შეიარაღება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის მკვეთრი პროტესტი მოჰყვა. ამის გარდა, სამხრეთ კორეაში შეიტანეს საჰაერო დაცვის კომპლექსი, რისთვისაც ქვეყანას ერთი მილიარდი (!) დოლარის გადახდა დაავალეს. ამის შესახებ სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ პროტესტი გამოთქვა და უარი განაცხადა რაიმე თანხის გადახდაზე.

ჩინეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი წინააღმდეგია რეგიონში რაიმე საბრძოლო მოქმედებისა. ამასთან, აშშ-ს დელიკატურად მიანიშნეს, რომ ვერ შეეგუებიან და არც დაუშვებენ, ყვითელ ზღვაში უცხო ქვეყნის სამხედრო გემებმა გადაკვეთონ 38-ე პარალელი.

ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შემდეგ რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა საჰაერო თავდაცვის ძალები და გააძლიერა კიდეც. იაპონიის დედაქალაქში რამდენიმე საათით მეტროც კი გააჩერეს და დაცვის ზომები გააძლიერეს.

მართალია, ბალისტიკური რაკეტის გამოცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ჩრდილოეთ კორეა კვლავ განაგრძობს ბირთვულ იარაღზე მუშაობას და არავინ უწყის, რა იარაღს შექმნიან. მათ ქვეყანაში 300 უნივერსიტეტი და კოლეჯია, აღმოსავლეთ აზიელთა ჟინი და შრომისმოყვარეობა ყველას კარგად მოეხსენება.

საბედნიეროდ, საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე საუბარი ჯერჯერობით შეჩერდა. რეგიონში ომი თუ ვინმეს არ აწყობს, ერთ-ერთი პირველები სწორედ აშშ-ის მოკავშირები სამხრეთ კორეა და იაპონიაა. თუ ვინმე დაზარალდება ომით, პირველ რიგში, სწორედ ეს ქვეყნები იქნებიან.

სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებისკენ დონალდ ტრამპს რომის პაპმაც მოუწოდა. მისი განცხადებით, ყველა სადაო საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს. რომის პაპი მზადყოფნას გამოთქვამს, უმასპინძლოს აშშ-ის პრეზიდენტს მაისში, როდესაც იგი იტალიას დიდი შვიდეულის შეხვედრაზე ეწვევა.

სავარაუდოდ, არც დონალდ ტრამპია დიდად დაინტერესებული, დაიწყოს, ფაქტობრივად, უაზრო ომი, რომელიც მხოლოდ მატერიალურად დააზარალებს ქვეყნებს, მათ შორის, აშშ-საც. რაც შეეხება ადამიანთა მსხვერპლს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, შეიძლება რამდენიმე მილიონსაც მიაღწიოს. ამიტომაც კვირას დონალდ ტრამპი ტელეფონით ესაუბრა ფილიპინების, სინგაპურისა და ტაილანდის ლიდერებს ჩრდილოეთ კორეის საკითხზე და ვაშინგტონში მიიწვია დეტალურად სასაუბროდ.

წინასწარ ძნელია თქმა და ჯერჯერობით არც არავინ საუბრობს, თუ რა მოხდება — საღი აზრი გაიმარჯვებს და აიცილებენ საბრძოლო მოქმედებებს, თუ უაზრო სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდება, რომელსაც დიდი მსვერპლი მოჰყვება, ყველა მონაწილე დამარცხებული გამოვა, გამარჯვებული კი არავინ იქნება. ჩრდილოეთ კორეა კი, ჯერჯერობით, პოზიციების დათმობას არ აპირებს. უფრო მეტიც, მათი ხელისუფლების განცხადებით, თუ საფრთხეს იგრძნობენ, აშშ-ის ატომური წყალქვეშა ნავის განადგურებითაც იმუქრებიან.

გია ბურდული
551 71 27 07

დავით ჟღენტი:
კიდევ ვიმეორებ: კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და გაწმინდოს სახელმწიფო სტრუქტურები „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან

გვესაუბრება სააკაშვილის რეჟიმის პოლიტდევნილი, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ წევრი, ბატონი დავით ჟღენტი.

— მინდა გაიგოს პრესამ და საზოგადოებამ, რა ხდება ჩემს გარშემო. როგორც „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას, ახლაც დაიწყო ჩემსა და ჩემს ოჯახზე ზეწოლა და ყოველივე ეს, თითქმის დარწმუნებული ვარ, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

— კონკრეტულად, რა ხდება, მოგვიყევით.

— ორიოდე კვირის წინ ჩემი შვილი გიორგი დააკავეს. აქვე აღვნიშნავ, რომ 29 წლის ბიჭს აქამდე პოლიციასთან არავითარი შეხება არ ჰქონია, მუშაობს ერთ-ერთ ტელევიზიაში და პოლიტიკურ პროცესებში არ ერევა.

ზაზა ბიბილაშვილი

— ერთ საღამოს მეგობრებმა კლუბში წასვლა გადავწყვიტეთ და რადგან ძალიან დაღლილი ვიყავი, მეგობარმა რაღაც ტაბლეტი მომცა, ენის ქვეშ ჩაიდე, დაღლილობა მოგეხსნებაო. ცოტა ხანში პოლიცია დაგვადგა თავს. დაგვაკავეს. მე ვაღიარე, რომ ტაბლეტი მქონდა პირშიო, მოგვიყვა მერე ჩემი შვილი.

გასულ კვირას კვლავ მოხდა გაურკვეველი ინციდენტი ჩემი შვილის მისამართით.

ბოლო ხანებში ერთი ჩვენი უბნელი აკითხავდა ჩემს შვილს, ეზოდან ეძახდა და სადღაც მიჰყავდა. მე ვეუბნებოდი გიორგის: დაანებე თავი, ნაციონალების აქტივისტია, „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერთან **გიორგი ავალიანთან** არის დაახლოებული-მეთქი. არ სჯეროდა. ახლა კი ხვდება, რომ ასეა, მაგრამ რაღა დროს.

— რამდენადაც ვიცი, მეორედაც დააკავეს.

— მოკლედ გეტყვით, რამდენიმე დღის წინ ჩემი შვილი მიდიოდა, თავის ახლობელთან, დაურეკავს კიდევაც მისთვის, შენთან მოვდივარო. სახლიდან რომ გავიდა, ეზოშივე დაადგნენ პოლიციის მანქანებით და დააკავეს. ამასობაში გიორგის მეგობარს დაურეკავს და ტელეფონი რომ გათიშული ჰქონია, უბანში ნაცნობებთან დაუწყია ძებნა. გიორგი დაიჭირესო, რომ უთქვამთ, იმას მაშინვე სახალხო დამცველის აპარატისთვის შეუტყობინებია. სახალხო დამცველის წარმომადგენელს აუხსნია მერე ჩემი შვილისთვის თავისი უფლებები.

— ანუ თქვენ ამბობთ, რომ თქვენს ვაჟს ორჯერ მოუწყვეს პროვოკაცია და ის ორივეჯერ მართალი იყო?

— პირველ შემთხვევაში დამნაშავეა. მას რაღაც აბი გადაყლაპული ჰქონდა, ამბობს, რომ არ იცოდა, რა იყო, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, არ უნდა მიეღო. ამის გამო მე მას ხელს არ დავაფარებ. მაგრამ მეორედ აბსოლუტურად მართალი იყო. ეს სპეციალურად გაუკეთეს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ მოგვიტანეს ამბავი — უბნის პოლიციელებს ნათქვამი აქვთ, გიორგი ჟღენტი უნდა დავიჭიროთო. პირველად რომ დავიჭირეთ, გაიქცა და გვარბენინა, თავი გვაძებნინაო. ერთი სიტყვით, პროვოკაციებს უწყობენ ჩემს შვილს და ეს სპეციალურად კეთდება.

— რატომ სპეციალურად, რას უკავშირებთ ამ ამბავს?

— პირადად მე ყველაფერს არჩევნების მოახლოებას ვუკავშირებ. ჩემი გაჩერება უნდათ. ჩემს შვილზე ზეწოლით ჩემს გაჩერებას ცდილობენ.

— რა ძალა გაქვთ ასეთი, თქვენი რომ ეშინიათ?

— ჩემი ძალა არის სიმართლის თქმა, რასაც ვაკეთებ კიდევაც ყველა შეკრებაზე, ტელევიზიაში, სადაც მიმიწვევენ, პრესაში, სოციალურ ქსელში. ჩემო კარგო, სიმართლე არის ყველაზე დიდი ძალა.

ვინც არ უნდა გადადგას ნაბიჯი ქვეყნის წინააღმდეგ, ჩემი ახლობლებიც რომ იყვნენ, არავის არ დავუთმობ. სიმართლეს ვიტყვი ყოველთვის და დავიცავ ჩემს ქვეყანას. არ შევეგუები ქართული მიწის გაყიდვას, საქართველოს დამონებას უცხო ქვეყნის მტრული ძალებისადმი.

— ბატონო დავით, რამდენადაც ვიცი, თქვენ „ნაცმოძრაობას“ ებრძოდით. 26 მაისის მოვლენებისას დაგაკავეს კიდეც. ახლა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოდიხართ?

— მე ვებრძვი და ყოველთვის ვიბრძოლებ „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების წინააღმდეგ „ქართულ ოცნებაში“. ეს ის ხალხია, რომლებიც დარჩნენ თუ დატოვეს სახელმწიფო სტრუქტურებში, პოლიციაში და ახლა ჩვენ გვებრძვიან, ადამიანებს, რომლებსაც მათი მოშორება და დასჯა გვინდოდა ყოველთვის.

ჩემს შვილს რომ ებრძვიან, ის პოლიციელები არიან, რომლებმაც მე უკანონოდ გამიშვეს 60-დღიან საპატიმროში 26 მაისის მოვლენების დროს. ჩემი საქმე ადვოკატ ლია მუხაშავრიას სტრასბურგშიც ჰქონდა გაგზავნილი.

არ გამოვრიცხავ, „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები იბრძვიან ჩემს წინააღმდეგ, რადგან იციან, მე არ გავჩუმდები უსამართლობაზე, ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებებზე, ვიტყვი, ვამხელ, ვიყვირებ, რაც, ცხადია, ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო იქნება.

— ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩენილხართ — თუ სიმართლეს არ დამალავთ, ფაქტობრივად, იმ მტრის მხარეს დგებით, რომელსაც ებრძოდით და რომელმაც სააკაშვილის გულაგში გაყურყუტათ 60 დღე?!

— დიახ. ასეა. თუმცა კვლავ ვიტყვი: მე ამ ხელისუფლებას არ ვებრძვი. ამ ხელისუფლების მოყვანაში მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მაქვს წვლილი შეტანილი და მისი ცუდიც და კარგიც, ჩემი წყენა და სიხარულია, თუმცა ახლა ვაპირებ შესაბამის ინფორმაციებში გავერკვიო, რომ ჩემი შვილი გავარიდო აქაურობას. მისთვის პოლიტიკური თავშესაფარი უნდა მოვითხოვო. მე კი თავს არ დავზოგავ. არ ვაპირებ სიმართლისთვის ბრძოლა შევწყვიტო. თუმცა იმასაც ვიტყვი, ჩემი შვილი რომც დაიჭირონ, ჩემი ქვეყნისთვის ბრძოლას არ შევწყვეტ. არ გავჩერდები. 1988 წლიდან ვიბრძვი და ახლა გაჩერებას არ ვაპირებ.

რაც ბათუმში მოხდა, ეს იყო გენერალური რეპეტიცია იმისთვის, რასაც ნაციონალები აპირებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ეს იმიტომაც ხდება, რომ კოჰაბიტაციაში შევიდნენ ამ ნაძირლებთან.

— რა ძალა აქვთ ასეთი ნაციონალებს?

— არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ, არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ბათუმის მოვლენების დროს რუსთაველიდან პირდაპირი ჩართვა რომ ჰქონდათ სოციალურ ქსელში ნაცების წარმომადგენლებს. **ნიკოლოზ რურუა და ზაზა ბიბილაშვილი** პირდაპირ მოწოდებებს აკეთებდნენ — გამოდით ქუჩაში ხელისუფლების წინააღმდეგო. მერწმუნეთ, დესტაბილიზაციისთვის არაა საჭირო ათასობით ადამიანი, საკმარისია 400-500 აქტიური მომიტინგე თბილისში, მით უფრო, რომ მხარდამჭერებს რუსთავში, ქუთაისში და ზუგდიდშიც მოუწოდებდნენ გამოსვლისკენ.

ვინც ჩემს შესახებ ცოტა რამ მაინც იცის, ყველა დამეთანხმება, ახლანდელი სამართალდამცავი სტრუქტურების საწინააღმდეგოდ ენა არ მომიბრუნებია, მაგრამ თანდათან ვხედავ, ის მეტასტაზები, რაც დარჩენილია სახელმწიფო სტრუქტურებში, მუტაციას განიცდიან, იფურჩქნებიან და ისევ ჩვენ გვიტევენ, რათა მათ წინააღმდეგ განხორციელებული წინააღმდეგობით ისევ ხელისუფლებას ავნონ.

კიდევ ვიმეორებ: კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და გაწმინდოს სახელმწიფო სტრუქტურები „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან, თორემ მე შვილის სიმართლისთვისაც ვიბრძოლებ, სხვისი შვილის სიმართლისთვისაც, რომელი ხელისუფლებაც უნდა იყოს! თანამოაზრეებს ბევრს ვიპოვი, ისედაც ბევრნი არიან და ყოველივე ეს კარგად არ დამთავრდება.

ეს ქვეყანა არ არის „ქართული ოცნების“, არც „ნაცმოძრაობის“. ეს ქვეყანა არის ჩემი და ჩემნაირი ქართველების, ამიტომ გვინდა ნორმალურ, წესიერ ქვეყანაში ვიცხოვროთ ჩვენი მომავლისთვის, აქ მაცხოვრებელი ყველა ადამიანისთვის.

ნიკა რურუა

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

დუშეთი

პრეზენტაცია აგროწარმოებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამისა და მატერიალური ორგანულ-მელიორაციული სასუქის — „ბომსის“ პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზნები და მნიშვნელობა ფერმერებისთვის. დაინტერესებულ პირებს საჩუქრად დაურიგეს სასუქი „ბომსი“, რომელიც განეკუთვნება ემ-ტექნოლოგიას („ემ-ტექნოლოგია — ეს არის ნატურალური, ხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და დედამიწის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნიადაგის გასაჯანსაღებლად).

შეხვედრას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „პროექტების მართვის სააგენტოს“, „სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის“ წარმომადგენლები და აგროწარმოებით დაინტერესებული დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარცვანიოს უბანში, ამოიწმინდა წყალსაწრეტი არხები და მოსწორდა სავალი გზის ზედაპირი.

ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის რემონტი, რომელიც 30 ბავშვზეა გათვლილი.

უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ძაღვაზე ახალი ხიდი მოეწყო. ხიდის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე — 3 მეტრი. ახალი ხიდის მოწყობით სარგებელი 80 ოჯახმა მიიღო. პროექტის ღირებულება 12 396 ლარია.

კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჩახაიოს უბანში, სანიაღვრე არხი იქმინდება.

გზების კეთილმოწყობა ბაღდათში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების სამსახური სოფელ პირველ ობჩაში შიდასაუბნო გზების სარემონტო სამუშაოებს აწორმოებს. უკვე დაპროფილებულია გზაჯვარედინი-მთისძირის უბნის 3 700 მ. სიგრძის გზა, თედორაძეების უბანში კი გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა მიმდინარეობს.

ხარაგაული — ცენტრალური გზის კეთილმოწყობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გედსამანიაში ცენტრალური გზის 3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა მიმდინარეობს. პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი 277 380 ლარით აფინანსებს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 3 535 500 ლარია გამოყოფილი.

სამუშაოებს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორი გიორგი ჭილვარია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი გაეცნენ.

გურჯაანი — გამწვანების აქცია ჭანდარში

სოფელ ჭანდარში, წმინდა ბარბარეს მინდორში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების სახელზე, მუხის ხის 500-მდე ნერგი დაირგო. გამწვანების აქცია გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დახმარებით მოეწყო.

შეხვედრა ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, გამგეობის სხვადასხვა სამსახურის უფროსებთან ერთად, ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას თემში არსებული მდგომარეობის გასაცნობად შეხვდა. გამგეობის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებთან ერთად განიხილეს ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულისთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები.

ვაჟა ჩოხელი მოსახლეობას არსებული რესურების პირობებში პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

ფოთის მერის შეხვედრები მოსახლეობასთან

ქალაქ ფოთის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ნაბადის უბანში, მზარელუას ქუჩის №38, №40 და №42 საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებლებს შეხვდნენ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

ამ კორპუსებში ფოთის მუნიციპალიტეტი უახლოეს პერიოდში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას გეგმავს, მზარელუას ქ. №38 საცხოვრებული კორპუსის სახურავს კი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება.

ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ნაბადის უბანში, არზიანის ქუჩის №2, №4 და №6 კორპუსების მცხოვრებლებს შეხვდნენ და მათ კორპუსებში მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. მოსახლეობამ, თავის მხრივ, მთავარ პრობლემად მრავალსართულიანი კორპუსის დაზიანებული სახურავი დაასახელა. ირაკლი კაკულიას განცხადებით, კორპუსის გადახურვის სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. მიმდინარე წელსვე მოწესრიგდება შიდა საკანალიზაციო ქსელი არზიანის ქუჩა №6 კორპუსში.

აბაშა — ქარის შედეგად დაზარალებულებს ზარალი აუნაზღაურდებათ

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ზარალის დამდგენი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. განიხილეს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა. 27-28 აპრილის ძლიერი ქარების შედეგად ათამდე საცხოვრებელი სახლის სახურავია დაზიანებული, საცხოვრებელი სახლი დაინგრა სოფელ ზანათში. დაზარალებულ ლუდმილა ნოდიას ადგილობრივი ბიუჯეტიდან „სტიქიით დაზარალებული (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) ოჯახების დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული თანხა გადაეცემა, ხოლო სხვა დაზიანებული სახლების მეპატრონეთა ზარალი აღირიცხება და მის ასანაზღაურებლად სამშენებლო მასალა გადაეცემათ.

სამუშო ჯგუფი განცხადებების განხილვასა და დაზიანებული სახლების ადგილზე დათვალიერებას აგრძელებს.

შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში, ქ. მარტვილში, 9 აპრილის, თელი წოწორიას ქუჩისა და მშვიდობის ქუჩის III შესახვევის ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და ერთის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. თანამედროვე საბავშვო ბაღები სოფელ ჯგალსა და მიქავაში შენდება, ხოლო წალენჯიხაში მიმდინარეობს №1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. სამივე ბაღში ახალ სასწავლო წელს აღსაზრდელები ახალ გარემოში შეხვდებიან

ჯგალის საბავშვო ბაღი 80, ხოლო მიქავას საბავშვო ბაღი 70 აღსაზრდელზეა გათვლილი.

ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზღვაიას დასახლებაში გზის მოხრეშვა-მოშანდაგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში

სოფელ ყვიბისის ორ უბანში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები 732 მ სიგრძის მონაკვეთზეა გათვალისწინებული. პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე მოეწყობა გოფრირებული მილები და საკანალიზაციო ჭები.

აღნიშნულ უბნებში საკანალიზაციო ქსელი არასოდეს ყოფილა. სამუშაოების დასრულე-

ხარაგაული

ძლიერი საქართველოსთვის

ბორჯომი

ბის შემდეგ ახალი ქსელით 100-ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს.

ქალაქ ბორჯომში, აღმაშენებლის, ვეფხვაძისა და ზეინკლიშვილის ქუჩებზე, ასევე არდაგნის დასახლებაში და ყოფილი სანატორიუმის „ლიკანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს საკანალიზაციო მაგისტრალების რეაბილიტაცია

პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 103 510 ლარით ფინანსდება.

სოფელ ტაძრისში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვლება ძველი კარ-ფანჯრები, მოპირკეთდება შიდა და გარე ფასადი, მოწესრიგდება სველი წერტილები, დამონტაჟდება ელგაყვანილობა, აივანზე მოეწყობა ლითონის მოაჯირები, კიბეები და პანდუსი.

არასათანადო პირობების გამო ამბულატორია მხოლოდ ერთ ოთახში იყო განთავსებული. პროექტის მიხედვით იგეგმება კიდევ სამი ოთახის კაპიტალური რემონტი.

ივნისის დასაწყისიდან ამბულატორია სამი სოფლის — ტაძრისის, დგვარისა და საკირის მოსახლეობას მოემსახურება. პროექტს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 43 718 ლარით აფინანსებს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, გასულ წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭობისხევისა და დვირის სასოფლო ამბულატორიებსაც.

ინფრასტრუქტურული პროექტები რუსთავში

ძველ რუსთავში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა დასრულდა. სკვერში დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც წლების განმავლობაში მეგობრობის გამზირზე, მწერალთა ყოფილი სახლის წინ იყო განთავსებული.

პროექტის ფარგლებში, ხელოვნების სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ბორდიურები, განთავსდა სკამები და ურნები. სკვერის კეთილმოწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 11 353 ლარი დაიხარჯა.

თოდრიას ქუჩაზე გზის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ტერიტორიაზე მოეწყობა ბორდიურები, სანიაღვრე ქსელი, გაზონები და სარწყავი სისტემა, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი.

56 შიდა ეზოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ბათუმის ქუჩაზე, №17 საცხოვრებელ კორპუსთან სკვერის მოწყობა, ხოლო №41 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

ბოლნისში ინფრასტრუქტურა ახლდება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს. ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული ტროტუარებისა და ჯებირის რეაბილიტაციის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ე. წ. ანდრეევკის დასახლებაში მდებარე მინი საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. სრულად აღდგება მაყურებლის ტრიბუნა, მოეწყობა ახალი ხელოვნური ბალახის საფარი და შეიცვლება ლითონის ღობეც. სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ თვეში დასრულდება.

ბოლნისში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბუბა გობეჯიშვილთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს კონსტანტინე კორძაძესთან ერთად დაათვალიერა.

სენაკი

დმანისი — სოფელ განთიადში ბიბლიოთეკა გაიხსნა

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში სოფლის ბიბლიოთეკა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა გურამ თაყნიაშვილმა გახსნეს. ღონისძიებას დაესწრნენ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, გამგეობის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, სოფელ განთიადის საჯარო სკოლის პედაგოგები.

გურამ თაყნიაშვილმა ბიბლიოთეკას საჩუქრად 800-ზე მეტი წიგნი გადასცა.

დმანისი

თეთრიწყარო — გზის რეაბილიტაცია სოფელ კლდეისში

სოფელ კლდეისში სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე არხების მოწყობა, ხოლო გზის სავალ ნაწილზე მოეწყობა ქვიშა-ხრეშოვანი და ღორღის საფარი, საერთო ჯამში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3260 მ სიგრძის საავტომობილო გზას. პროექტის განხორციელების შედეგად უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების საშუალება ექნებათ აღნიშნულ დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობასა და დამსვენებლებს.

2015-2016 წლებში მოსული უხვი ნალექების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა სანიაღვრე არხები და დაზიანდა გზის სავალი ნაწილი. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით, 2015-2016 წლებში მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის 869 300 ლარი განისაზღვრა. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია სოფელ ვაშლოვნის შიდა გზების, სოფელ ახალსოფელში და სოფელ კლდეისში მისასვლელი საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის.

გორი — ტინისხიდში საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნება

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ ბაღი 60-მდე ბავშვს მოემსახურება. სოფელში საბავშვო ბაგა-ბაღი ბოლო 40 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.

რეაბილიტირებულ სკოლაში განაგრძობენ სწავლას ტინისხიდში მცხოვრები მოსწავლეებიც. სკოლის რეაბილიტაციას მსოფლიო ბანკი ახორციელებს. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე აზიის განვითარების ბანკის (ADB) წარმომადგენლებს შეხვდა. ბანკის თანამშრომელთა ჯგუფი სენაკს ADB-ის ფინანსური მხარდაჭერით უკვე განხორციელებული გზებისა და წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის მიზნით ეწვია.

შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები.

მოკლე საბნის, ალხანების და ჩალხანების შესახებ

საბანი დამიმოკლდა, ბოლო დროს...

სადამდეც გწვდება, იქამდე გეფაროსო - მეუბნებიან და ამოვიდა, ბატონო, კისრამდე, გავიკეთებ მალე კაშნედ და ისე ვივლი.

მომბაძავს მერე ნახევარი საქართველო. არ შემიძლია ეს მიმბაძველობა - მთრგუნავს.

შიმშილმა ვერ დამთრგუნა, ვერც სიცივემ დამთრგუნა, მარგველაშვილმაც კი ვერ დამთრგუნა - აი, მიმბაძველობა მთრგუნავს.

ამ დროს კი, მხვდება ფეისბუქზე „გირჩის“ ლიდერის პოსტი: „მთაგეთ და მაგინეთ ქართულადო“.

ის ანეგდოტი ხომ იცით, მაზოხისტი და სადისტი რომ შეხვდებიან ერთამენთს და მაზოხისტი ყელგამოწვლიდი ევედრება სადისტს: - მცემე, მაწამეო...

არა! - ბედნიერი ღიმილით პასუხობს სადისტი.

ხოდა, მეც - არა-ს გეუბნებით, ბატონო ზურაბ!

არა, არ გაგინებთ, არ დაგთაგავთ...

ამ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ, ბატონო ზურაბ.

„სტატისტიკის მოყვარულთათვის - საათში 15 მღვდელმსახურს ვუშვებთ“ - დადეს ახალი პოსტი „გირჩელებმა“ და კმაყოფილებმა გადმოხედეს ფეისბუქ სამყაროს, აქაოდა: - აბა, არც ახლა გვაგინებთო?!

არა. შეუვალი ვარ კლდესავით. რა მეთაგებ-მეგინება, საბანი კაშნედ მაქვს შემოხვეული.

ახლა, ინგა გრიგოლია ვაკურთხეთ მღვდელმსახურადო. მერე რა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში აღარ გაიწვევენ, ედოს ისე, თავისთვის, იქნება როდესმე ქადაგება მოუნდესო...

არ გვაკლებს, ბატონებო, ეგ მაგ ცნობის გარეშეც ქადაგებას, მაგრამ, ჰქონდეს, კარგი.

კაშნეს ვისწორებ გზადაგზა... მალე, მარგველაშვილს კვიკურთხებენ ეპისკოპოსად - მე მითქვამს და...

არ მეშვება „გირჩი“: - თქვენ ეს არამართლმადიდებლური რატომ გგონიათ? განა ქრისტიანები არ არიან ბაპტისტებიცო?

ეჰ, ბაპტისტებიც კი არ არიგებენ ყალბ მოწმობებს... მიდით, აბა, ბაპტისტებს, პროტესტანტებს აუხსენით და უთხარით მართლმადიდებლები ხართო და...

კარგით, რა მოგივიდათ, ჩვენ უბრალოდ კანონში არსებული ხვრელი გამოვიყენეთო - დაგვამუნათა „გირჩმა“...

ამ უბედურ ქვეყანაში იმდენი გამოყენებელი ხვრელი გვაქს/გვყავს - ყველას გამოყენებას თუ თქვენ აპირებთ, გვითხარით, ბატონებო.

90-იან წლებში, მაშინ როცა გურიაში ბაპტისტი რა და ვინ იყო არ იცოდნენ, გურულმა შარვალზე უკან ბოქლომი დაიმაგრა - სადაც რამე ხვრელი ნახეს, ყველგან კოოპერატივი გახსნეს და რა ვიცი, მეშინიაო...

მოვიმარაგოთ ბოქლომები, ბატონებო?

ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავსო - გამიგია და ეგრეა, მაგრამ, მარტო საქართველოში მოდის ერთ ალხანაზე უამრავი ჩალხანა...

მარტო საქართველოში შეიძლება ყველა სისულელე მოდად იქცეს...

ჯარში ვისაც არ იწვევენ ისიც კი გაამღვდელ-გაამსახურეს.

მარტო საქართველოში შეგვიძლია პატრიარქის სადღეგრძელო დავლიოთ დიდი თასით, წინაპრების ოფლით და სისხლით ჩვენამდე მოღწეული მამული, ენა, სარწმუნოება დავლოცოთ და ჯიბით ევანგელისტურ მოწმობას ვატარებდეთ...

ცოტა ხანში, კაშნედშემოხვეული საბანი ისე დამიპატარავდება ოთხად გავკეც და ჯიბეში ჩავიდებ იქნებ ცხვირსახოცად მაინც გამოვიყენო.

ესენი კი გვთაქეთ და გვაგინეთო.

რა მოწიეთ ასეთი.

გურიაში რომ მარიხუანა მოდის წლიდან-წლამდე - არც დაგესიზმრებათ, მაგრამ ჩემი გიჟი გურულებიც კი არ გადარეულან ასე, ბატონებო.

წინადადება მაქვს ერთი: - აი, გინების და დათაგვის გარეშე...

თუ მიბაძვა აუცილებელია, მე გეტყვით რას და ვის მიბაძოთ...

მოდით, ჯიპებიდან ჩამოხტით, უცებ, უცებ, ფიქრის გარეშე და მეტროთი იმგზავრეთ.

მოდით, სამასლარიანი ხელფასით სინჯეთ თვიდან-თვემდე თავის გატანა.

მოდით, საყვარლის გარეშე მოსინჯეთ ერთი თვე ცხოვრება. ღარიბული სექსიც მოსინჯეთ, მდიდრულ სექსზე ხომ კარგად აუბით მხარი პრეზიდენტს?

მოდით, საავადმყოფოში მიბრძანდით საყოველთაო დაზღვევით და უფულო საფულით.

მოდით, 20 ლარი მესესხეთ, ხელფასამდე.

ჩვენ კი, ჩვენ უნიჭოები, არც მიბაძვა რომ არ გვაინტერესებს, არც ექსკლუზივები და არც მყვირალა გამონათქვამები, ასე სუნთქვა-სუნთქვით რომ მივუყვებით ცხოვრებას, საბნები მოგვიხვევია უინტერესოდ ყელზე კაშნედ და დავეხეტებით - დავეხეტებით სამართლის ძიებაში, ლუკმა-პურის ძიებაში, იმ 20 ლარის ძიებაში - თქვენ რომ გასესხეთ წეღან და ხელფასამდე ვერ დაგვიბრუნებთ...

ფიქრი და ოცნებებიც სხვა გვაქვს - ჩვენ იმას ვფიქრობთ, როგორ გადავიხადოთ გადასახადები, როგორ ვუყიდოთ შვილს 20 ლარიანი კედი (არ უნდა მესესხებინა თქვენთვის, მაინც ვერ დაინახავთ)...

არა, ზოგჯერ, როცა კარგ ხასიათზე ვართ და თან გვცალია, ვოცნებობთ კიდეც: როგორ ვატარებთ შვილს ცურვის წრეზე, როგორ ავიყვანთ ინგლისურის პედაგოგს, როგორ წავალთ კინოში, როგორ ვიყიდით „ზმანებს“ ლილოს ბაზრობაზე...

ხო, მილანის „ზმანი“ და ფრანგული სუნამო - ოცნებაშიც არ ჩანს...

ასეა, ჩვენ უნიჭოები ვართ და უინტერესოები.

და „ბიბლიური თავისუფლების“ შექმნა თქვენზე ადრეც რომ მოგვეფიქრებინა - უმალ ტანისამოსის გარეშე ტანტალს ვარჩევდით, ვითარცა ადამი და ევა, ვიდრე პროტესტანტობას, ან ევანგელისტობას, ან ბაპტისტობას...

ვიცი, გულის სიღრმეში არა ხართ ასეთები. თქვენი შვილი არც პროტესტანტი გინდათ რომ იყოს, არც მარიხუანის მომხმარებელი, არც მამათმავალი - მაგრამ ექსკლუზივს რა ვუყოთ, მყვირალა პოსტები ვის დავუტოვოთ, ქულები ვის დაეწეროს, ანგარიშები ვერ შეევსოს, ჩალხანები ვის აეკიდნონ...

გაგიჭირდებათ ჩვენი მობაძვა, მით უფრო, რამდენადაც არ უნდა მოკეცოთ თქვენი აფრასავით გაშლილი საბნები, კაშნედ მაინც ვერ მოიხვევთ, მაგრამ სცადეთ, სცადეთ.

თორემ, ბაპტისტად დარეგისტრირება ყველას შეუძლია - მაგრამ, ჩვენ იგეთი თავის უგემურნი ვართ, ვერც მაგას ვიკადრებთ და გავუშვებთ შვილებს ჯარშიც და ლოცვებზეც - ნამდვილ ლოცვებზე, ნამდვილზე.

მოკლედ ასე. სანამ ჯერ კიდე კაშნად გვწვდება საბნები, იქნება აქეთა საქართველოსკენაც მოიხედოთ, თორე, დარჩებით მალე მარტოკა ალხანები და ჩალხანები, დაგრჩებათ მერე ექსკლუზივები ოხრად...

მარგველაშვილს რა მოვთხოვო, ეგ იმნაირი სექსითაა დაკავებული და იმნაირ სასახლეში ცხოვრობს, სულ არ უნდა ეფაროს საბანი...

მაინც არ დაგთაგეთ და მაინც არ შეგაგინეთ - მსდიეთ ახლა კუდში. ემთხვიეთ ახლა ბაპტისტებს და პროტესტანტებს.

ხელი მოისვით ხოლმე ჯიბეზე, ევანგელისტური პასპორტი ხომ ადგილზეა, ხომ არსად ამოგვარდათ.

... და იმ 20 ლარის დაბრუნება არ დაგავიწყეთ რა ხელფასზე.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ლამარა იანვარაშვილი:
დესანტი თურდოს ხეობაში



თურდოს ხეობა მრავალმხრივაა საყურადღებო — მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი არ არის შესწავლილი. ხეობაში ადგილია ერთი, ნაქალაქარს ეძახიან, წლების განმავლობაში ნაქალაქარიდან გამოყვანილი სასმელი წყლით მარაგდებოდა თელავი, მაგრამ, რაც უცხო მგზავრებისა და ტურისტების გაოცებას იწვევს, ეს არის თვალშეუდგამ შავ კლდეზე სამ სვეტად წამომართული ფსიტის ციხე. იქაურები თამარ დედუფლის ციხესაც ეძახიან.

თურდოს ხეობას გასცდები თუ არა, რამდენიმე კილომეტრზე იწყება ბუნების განუმეორებელი მშვენიერება, ფიროსმანის ყალმით დახატული წიფლნარის ხეივანი. მზე როცა ზენიტშია და წიფლის ხეების ხშირ ფოთლებში მზის სხივების ათინათი ციცინათელებივით გამოანათებენ, თავისთავად ჩნდება ვაჟასეული განცდა: ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართ!

ხეივნის ბოლოში ჩემი სოფელია — თეთრწყლები.

მე მამიდის სახლის ბანზე ვიძინებდი საბედა ბებოსთან ერთად. დიდედასგან განსხვავებით, ის არ მიშლიდა ბებოს დაძახებას.

დღესაც მახსოვს ის ნეტარება, რასაც მაშინ განვიცდიდი, როცა ლალიანის გორის ფხაზე საცრისოდენა მთვარე შემოჯდებოდა და არე-მიდამოს ვერცხლისფრად გაანათებდა, ბებო მაშინ მიყვებოდა ძილისპირულის ზღაპრებს ბაყ-ბაყ დევსა და ოქროსთმიან მზეთუნახავზე.

გათენება იქნებოდა, მამაკაცის ძახილმა გამომაღვიძა.

— სვიმანო, ჰაი სვიმანოო!

მამიდაჩემის კარის მეზობელს, სიმონ პატარაშვილს ეძახდა ვიღაც, ბავშვური გუმანით მივხვდი, სოფელში რაღაც ხდებოდა.

სიმონი პატარაშვილი ბანდფორმირებების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს მეთაურობდა. მის საგმირო საქმეებზე ბევრს პალარაკობდნენ, სოფელში დევკაცს ეძახდნენ. მთაში ლაღად გაზრდილი ლაღი და მამაცი ადამიანი სიბერეში კახეთის ერთ გადახრიოკებულ სოფელში ცხოვრობდა შუათანა ვაჟის ოჯახთან ერთად, უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან, მგონი მისმა საახლობლომაც არ იცოდა მისი გმირული თავგანწირვა საშიშ ყაჩაღებთან გამუდმებულ ბრძოლასა და დევნაში მის სახელს უკავშირდებოდა ადოლფ ჰიტლერის მიერ კავკასიის არწივად მონათლული, გახმაურებული ყაჩაღის — ჩეჩენი იდრისას საბოლოო ლიკვიდაცია.

სასწრაფოდ გადავიცვი და პატარაშვილების ეზოში ღობიდან გადავძვერი, სამეზობლო კარებში ვერ გავიარე, ძაღლის მეშინოდა. როგორც იყო აივანზე ავედი და იქვე ტახტზე მოვკალათდი. ჩემთვის უცნობი მამაკაცი ძია სიმონს აჩქარებით რაღაც უცხო ამბავს ამცნობდა. ძია სიმონი თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი. იქვე იყო მისი თანამებრძოლი პეტრე გოდერძიშვილი. ისიც შეიარაღებული, საბრძოლო დავალებაზე თუ მიდიოდნენ, როგორც იცოდა ხოლმე თქმა ძია სიმონმა.

მე სული გავნაბე და სმენად

ნაწყვეტი მოთხრობიდან

გადავიქეცი.

— ჭერხოში საცხვრესთან ახლო მძინავ, — ჰყვებოდა ახალი ამბის მაცნე.

— ზოგჯერ მგელ გვეტევებ, თოფ სუ ჩახმახზე მქონ შაყენებულ, იქავ კარჩხაზე მიკიდავ. შუაღამე იქნებოდ, ბალახის ფაჩი-ფუჩ და დუდუნ რაიმ მამედინ, წამოვჯე, ერთ ხელით თოფ მავზიდნე.

— მასპინძელოო! — დაიძახა ერთმა.

— ჰაუ, რომელ ხარ? — ავჩქამდი მეც. ამასობაში ეზოში შამოიდეს, სამნ იყვნეს, ერთი — ჩვენის იერით, ვაჟკაცურ მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდ კაი გაზდილობა.

— მთებში ვნადირობდით, — დაიწყო ამბის მოყოლა ჩვენიანად გონებულმ, — გზა აგვერია, უკან დასაბრუნებელ ბილიკს ვეღარ მივაკვლიეთ, ორ დღეს ტყეში დავეხეტებოდით, საჭმელიც შემოგველია, გათიბულ თივაზე ვიძინებდით, მერე ხევს ჩამოვყევით, ვიფიქრეთ, ასე უფრო ადვილად გავალთ სადმე გზაზეო. მშივრები ვართ, თუ შაგიძლიანთ პურ გვაჭმიეო. ცოტა ფეხს შავასვენებთ და მერე ჩვენ გზაზე წავალთო.

ის ორნი კი ხმას არ იღებდეს.

ორდედიან ბატკან მყვანდ, შობას მოგებულ, ჭედილად მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდ. კაცი ვარ, ქუდ მხურავ, სტუმრებს პურუჭმელს ვერ გაუშვებდი.

ბატკანს თავ მოვჭერ, იქავ ჩამოვატყავ, საცხვრესთან ცეცხლ დავანთე სახინკლე ქობით ხორცწვენ მაუხარშ, თხილის შამფურზე მწვადიც შაუწვი, სასმელ სულ არ მებადებოდა, წიქან გავაღვიძ, ღმერთიმც უშველთ, ერთ ხელადა ჩამამისხეს.

მოშიებულებ ყოვილიყვნეს, დაამლულებ უბრად ჭამდეს, არც ერთს ხმა არ გაუღავ. სასმელზეც უარი მითხრეს, „ჩვენებურმა“ კი დალია ერთ სტაქან. შინ ვეპატიჟე, არ შამოიდენ, საგებ-სახურავი ჭერხოზე გაუშალ, მეც იქავ მივწევ.

თვალ მაშინ გავახილ, როცა ეზოს კარებში გადიოდეს, თან მზირად ჩემსკე იყურებოდეს.

რა დიდ მიხვედრა უნდოდა, აშკარად იპარებოდეს. საკაიკაცოდ არ იყვნეს მასულებ.

ბანდულებ დავძებნ, ჩემს ქურანს ამოვაცვი ოთხივ ფეხზე და ელქეშად გავყევ. ჩუმად მიდიოდეს, გზააბნეულობისას ვერას ვატყობდი, თურდოს ხევში რო ჩავიდეს, კარგა წინ გაუშვი, ტყე აღარ მფარავდა, ჩემ გამოჩენა არას ივარგებდა.

ვინ იყვნენ, საით მავიდეს, ან ქა რას აკეთებდეს, უნდა გამეგ. ვიწრო ბილიკით წინას-უკან მიდიოდეს, დაბლა ხევში წავიდეს თუ არა, მაშინავ ადიდებულ თურდოსგან მაგლეჯილ წიფლის ტოტებში ჩაიმალნეს. ჩემს ქურანს დეზი ვკარ და შაუსვენებლად შენამდე მავედ.

როგორც შემდეგ გაირკვა, მაცნე გიორგი თეთრაული ყოფილა ხევსურების სოფელ კობაძიდან.

— პეტრე, ეხლავ უკანმოუხედავად გაფრინდი შენი შევარდენით თელავში! იცი, ვინც უნდა ნახო, რაც გაიგონე შენი ყურით, უკლებლივ ყველაფერი უნდა უთხრა. მე მანამდე მებრძოლებს შავაგროვებ და შორი-ახლო ჩავუსაფრდებით, რომ არსად წაგვივიდნენ. მაშინავ უკან გამობრუნდი, აქ დაგვჭირდები.

პეტრემ ცხენი სწრაფად შემოატრიალა და თვალის დახამხამებაში პატარაშვილების მამულის ბოლოში გაუჩინარდა.

მამიდაჩემის სახლში ფეთიანივით შევვარდი, ბებო სახლში არ დამხვდა, ინდაურები წაესხა მინდორში, მამიდაშვილებიც სანადიროდ წასულიყვნენ. მარტო მამიდაღა იყო სახლში, რძეს დღვებდა. რაც მოვისმინე და ვნახე პატარაშვილების სახლში, მამიდას ყველაფერი მწყობრად მოვუყევი. მამიდა პირჯვარს იწერდა და ღმერთს ქვეყნის გადარჩენას ევედრებოდა.

ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, მთელმა სოფელმა და ქვეყანამ მეორე დღეს გაიგო, როცა თელავიდან ხეობაში შემოსულმა სპეცრაზმელებმა ნამზღვლევი ბექის ძირში ალყაში მოაქციეს ეჭვმიტანილები და სამივე შეიპყრეს ისე, რომ მათ ვერც შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მოასწრეს და ვერც მიმალვა. საომარი აღჭურვილობა კი საკმაოდ ჰქონიათ: ავტომატები თავისი მჭიდებით, რევოლვერები, ყველაზე მეტი კი

— ხელყუმბარები.

სარდლობისგან ნაბრძანები ჰქონიათ, იარაღი მხოლოდ გამწვავებული სიტუაციიდან გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში გამოეყენებინათ.

ქართულად მოსაუბრე, ქართველი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრის, ოხდაოთხ წელში თურქეთიდან საფრანგეთში გადასული ცისკარიშვილის ვაჟი ყოფილა, საფრანგეთში დაბადებული-გაზრდილი, ფრიად განათლებული, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე. შესახედავად მართლაც ლამაზი და ახოვანი. ცისკარიშვილს უბის საიდუმლოდ ჩაკერებულ ჯიბეში აღმოსჩენია ადოლფ ჰიტლერის ბრძანება მისი კახეთის მხარის გუბერნატორად დანიშვნის შესახებ. იმავე ბრძანებით ფიურერი მას არაერთ, სამხედრო საიდუმლოების შემცველ, დავალებას აძლევდა.

ცისკარიშვილც თვითონ ჰქონია არაერთი მისამართი კახეთში მცხოვრები გერმანელებისათვის საიმედო ოჯახებისა.

მადლობა უფალს, იმ სიაში, თურმე არც ერთი თელაველის გვარი არ აღმოჩენილა. ორნი ნამდვილად გერმანელები ყოფილან, თან ჰქონიათ რადიოგადამცემი, დღეში თურმე რამდენიმეჯერ გადასცემდნენ სარდლობას საქმის ვითარებას. ერთი ექიმი ქირურგი ყოფილა, როგორც უფროსები ვარაუდობდნენ, ასე უფრო ადვილად დაამყარებდნენ კონტაქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ეჭვსაც არავინ აიღებდა.

რაც ყველას საკვირველად დაურჩა, ეს იყო რუკები კახეთის, თელავის, თურდოს ხეობის და ჩვენი სოფლის. დახატული ჰქონიათ კაი დიდ ქაღალდზე, როგორც რუკაზე, ისე ნახატზე მონიშნული ყოფილა, სად უნდა დაშვებულიყვნენ და კარავი სად უნდა გაეშალათ.

მოგვიანებით ფრიად პატივსაცემი ქალბატონი, შინმოუსვლელის დედა, ქეთო სიმონიშვილი, რომელიც ომის ქარცეცხლიან დღეებში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში მდივან-მემანქანედ მუშაობდა, მიყვებოდა, სამხედრო ტრიბუნალის განჩინება როგორ იქნა სისრულეში მოყვანილი. სამივე გიგოს გორაზე დაუხვრეტიათ. ცისკარიშვილს თურმე რამდენიმე ტყვია მოხვდა და მაინც ფეხზე იდგაო, ასე ამბობდნენ თვითმხილველები, — ყვებოდა დეიდა ქეთო.

თურდოს ხეობაში დესანტის გადმოსხმიდან რამდენიმე დღეში ომის წლებში სოფლის ნაადრევად დაკაცებულმა მოზარდებმა ახალნაყარი წიფლის ხეებისგან ლალიანის გორის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე საყარაულო კოშკი ააგეს. ყოველდღიურად დღითა და ღამით ორ-ორი ბიჭი მორიგეობდით ყარაულობდა, უთვალთვალებდნენ, ვაითუ, მტერმა დესანტი კიდევ გადმოსხასო.

თურდოს ხეობის საპეცოპერაციის წარმატებით ჩატარებაში გამოჩენილი მამაცობისა და სამშობლოს ერთგულებისათვის სიმონ პატარაშვილმა და გიორგი თეთრაულმა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები ბრძანებით დაიმსახურეს, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ორივეს ერთი პარაშუტი აჩუქა.

ომი იყო და ქვეყანაში ჭირდა ცხოვრება, როგორც მაშინ ამბობდნენ, არც ფართალი იშოვებოდა და არც მისი საყიდელი ფული. სოფლის ბალღები ჩამოგლეჯილ-ჩამოკერტილები დადიოდნენ, ნაალაფარი პარაშუტი დაჭრეს და სოფლელებს გაუნაწილეს.

ღუდუშაურთ თამარამ სოფლის ბავშვებს კაბები შეუკერა. პარაშუტი ფერად ალი წითელი იყო. მთელ სოფელში ბავშვები შარა გზაზე, ორღობეებში, საკუთარი სახლის ეზოებში ყაყაჩოებივით დადიოდნენ. იმ ზაფხულს წითელკაბიანი ბავშვები ძალიან უხდებოდნენ სოფელს.

მეც ძალიან მინდოდა პარაშუტის კაბა, მაგრამ არავის ვუმხელდი. ბალღობიდან ამაყი ვიყავ და თავმოყვარე.

გავიდა რამდენი ხანი, თურდოს ხეობაში მრავალმა წყალმა ჩაიარა. სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო და ჩემი ნატვრა წითელი კაბის ქონის შესახებ მხოლოდ ახლა გაგიმხილეთ.

ეს ყველაფერი ჩემს ბავშვობაში იყო. ხანდაზმულობამ ჩემზეც გადმოაბერტყა წელთა სიმრავლე თავისი არც თუ ისე მომხიბვლელი შედეგებით. გიორგი თეთრაული მითიური გმირივით შემორჩა ჩემს მოგონებებს. მე ახლაც ვფიქრობ მის კაცურ კაცობაზე, როგორც ეს თვითონაც თქვა, მის გენში ჩაკირულ ჩაფოლადებულ სტუმართმოყვარეობასა და მამულისათვის უყოყმანოდ თავის გაწირვის შესაშურ უნარზე. ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, გიორგი! ვიცი, შენს ვაჟებს — იმედასა და ირაკლის მამა-პაპათაგან სულიერ საგზლად გამოყოლილი ანდერძით ზრდიდი, მაგრამ ვაი, რომ მათ სიჭაბუკეშივე დატოვეს სამზეო და ახლა ყველანი სულეთში ხართ შესვენებულები.

მშვიდობით, ჯვარი გეწეროთ!

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა ჯონ ჩედვიკის მიერ ამოკითხული და გაანალიზებული ლურსმნული წარწერებიდან და დავრწმუნდებით იმაში, რომ ამ გვარების დაბოლოება „ია“ მშობლიური ქალაქის, ანუ პოლისის სახელწოდება უნდა იყოს. გვარის დაბოლოება „ია“ იმ დროის კოლხისათვის თანამედროვე პასპორტის მსგავსი საბუთი იყო და ამტკიცებდა იმას, რომ ის პოლის „ია-ს“ მკვიდრი და ნამდვილი მაცხოვრებელია და გამორიცხული ჰქონდა ყველა შესაძლებლობა, გაესაღებინა თავი სხვა პოლისის მაცხოვრებლად.“

ნურავის მოვედავებით საკუთარი აზრის გამოთქმისთვის, თუმცა, უპირველესად, აღსანიშნია, რომ მეგრული გვარები მხოლოდ „ია“ დაბოლოებით არ არის, „ვა“, „უა“, „ყვა“, „ში“, „ბერი“, „სკირი“ და „ჭკორი“, ასევე მეგრული გვარების დაბოლოებებია და თუ „ია-ზე“ დაბოლოებული გვარის მატარებლები „აია-იადან“ იყვნენ, დანარჩენი რომელი პოლისების მაცხოვრებლებად წარმოვიდგინოთ? (ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვთქვათ ორიოდე სიტყვა)

ამავდროულად, ის როგორ არ აღვნიშნოთ კიდევ ერთხელ, რომ აიეტის ერთ-ერთი და, ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და სწორედ კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედა იყო?

რაც შეეხება მეგრულ და აფხაზურ გვარებს — მიუხედავად მავანთა მიკერძოებულობისა (რაც ძლიერ აზარალებს მეცნიერების არა ერთ სფეროს), ფაქტად დევს, რომ დღესაც კი, აფხაზების უმეტესობას, დაახლოებით 90-92 %-ს, ქართული გვარები აქვს. უფრო ზუსტად, 75-80%-ს მეგრული, დაახლოებით 10-15%-ს ქართული — იმერულ-გურულ-რაჭულ-აჭარული და მხოლოდ 8-10%-ს ურევია ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმისა.

ვრცელი და მოსაწყენი მეცნიერული ნაშრომი რომ არ გამოგვიოვდეს, მარტივად ვთქვათ ის, რაც მნიშვნელოვანი და ამავდროულად მარტივად გასაგები ფაქტებია ე.წ მტკიცებულებებით.

აღიარებულია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისი „კოლხეთის სამეფოს“ ეპოქაა (ძვ.წ XV-XIV ს.ს).

ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის სამეფოში 20-ზე მეტი ტერიტორიული ჯგუფია დასახელებული: თუბალები, ჰენიოხები, მესხები, ჯავახები, მანრალები, შქვითინები, დრილები, კორაქსები, მისიმიანები და ა.შ მაგრამ რადგან ბერძნებმა მათ ერთი სახელი „კოლხები“ შეარქვეს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთნი უნდა ყოფილიყვნენ და ერთ ენაზე უნდა ემეტყველათ. (ბერძენი სწავლული ჰეკატე მილეთელი (ძვ.წ VI ს) — „მესხები კოლხებია და მესხეთი კოლხეთშია“). „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს (ძვ.წ V ს) ცნობით, მის ეპოქაშიც კი, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრ-აღმოსავლეთ ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ კოლხები და გავრცელებული იყო კოლხური ენა.

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელსაც დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე) სუდანი (კოლხ-ქალდების იმპერია), პირინეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მეგრელია“ ეწერა. თუაფსემდე (ნიკოფსიამდე), მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი — მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ — ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძვ.წ VI ს) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.


პირობითი აღნიშვნები
ეგრისის სამეფოს საზღვარი
დედაქალაქი
ციხე-ქალაქი
ეკლესია
ბაგრა
პიტიუნტი (ბიჭვინთა)
სებასტოპოლისი (სოხუმი)
წებელდა
ამაზასპი
ბიჭვინთა
ბოსპორიანები
ეგრისი
ეგრისი (ბიჭვინთა)
ეგრისი (ბიჭვინთა)
ეგრისი
ეგრისი
ეგრისი

პეტრე ქოჩაკიძე-ჯალადიდელი:

ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, ნიჭიერი მწერალი და მეცნიერი, ბატონი პეტრე ქოჩაკიძე, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის უცნობი დეტალების კვლევას შეალია.

პეტრე ქოჩაკიძე დააკლდა არა მხოლოდ მის მეგობრებსა და ახლობლებს, არამედ მთელ საქართველოს.

აქვე გთავაზობთ ფრაგმენტებს მისი ერთ-ერთ წერილიდან.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

ქალდეველები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვიებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? — ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: — ელი, ელი, ლამა საბექთანი. სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? — ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედაენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ — ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები — იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ — ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. და-ძმა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.



ღვთისმშობელი ქართველი იყო?

— დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია — შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით,ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? — ამას ახლავე აგიხსნით — მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება — მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება — შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით — ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს — მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე — მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე — ქალდეა, გვარი — ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი ამის წაკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა — „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მაწვავარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა. თავი II — ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს. თავი XIII — სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს. რა თქმა უნდა, ქალდეურ ენაზე. კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით — სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერომანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

რა ეწერა ფესტოსის დისკოზე?

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით — ახალი ნინო — ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს ძველი ნინოს არსებობას. რას ნიშნავს ეს? — აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა ნინოს ფუძე ნინ — ფონეტიკური სახესხვაობაა ნენ და ნან-ის. ქრისტეს მოსვლემდე ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ — ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კემბალი უჭირავს. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა ღვთისმშობელი მარიამამდე ადრინდელია. აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგახსენებთ. საბერძნეთში ფესტოს სასახლეში 1800 წელს დისკო აღმოაჩინეს, რომლის წაკითხვა ვერავინ მოახერხა. ეს მოახერხა ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა მეცნიერმა კვაშილავამ. ეს იყო არა ლურსმული, არამედ იეროგლიფური დამწერლობა. შეამოწმეს დისკოს წარმომავლობა და იგი 2000 წლის აღმოჩდა ქრისტეს მოსვლამდე. ამ დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი ეწერა, ანუ ახალი ნინო ძველი ნინოს მოსახელეა.

„საერთო გაზეთი“
N 24 2013 წ.
თამარ შველიძე

ცხოვრებაში არიან გამორჩეული ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც მაღალი საზოგადოებრივი პოსტების გარეშეც მისაბაძ მაგალითებად რჩებიან.

ბატონი რეზო გაგუა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და კლინიკური ონკოლოგიის ერთ-ერთი წარჩინებული მეცნიერ-მკვლევარიც რომ არ ყოფილიყო, მაინც გამორჩეული ადამიანი იქნებოდა თავისი პიროვნული ღირსებებით.

გასულ კვირას თბილისის მიწამ ბატონი რეზო გაგუას ცხედარი მიიბარა.

დარწმუნებული ვართ, მისი გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით განკურნებული პაციენტების ლოცვით ის უკვე სასუფეველში იქნება.

ნათელში იყოს თქვენი სული, ბატონო რეზო.

„საერთო გაზეთი“

წარმატებული ყველა ასაკში შეიძლება გახდეთ!

განვითარება სამყაროს ძირითადი კანონია, თავად სამყაროც ხომ მუდმივად იცვლება. ნებისმიერ ადამიანს სჭირდება ინტელექტის, სხეულის, სულისა და ცნობიერების განვითარება, რაც, საბოლოოდ, პიროვნების განვითარებას ნიშნავს.

ის ადამიანები, რომლებიც სრულყოფილებისკენ ისწრაფვიან, ყოველთვის ახალგაზრდები, ცნობისმოყვარენი, ხელგაშლილები და სხვა ადამიანებისთვის საინტერესონი არიან. ისინი არასოდეს ბერდებიან...

წარმატებული ადამიანები ამბობენ, რომ ადამიანი წარუმატებლები საკუთარი აზრების გამო ხდებიან. მათ არ იციან, როგორ განავითარონ საკუთარი სულის სიძლიერე, პოზიტიური ენერგია, სიბრძნე, მათთვის ეს არავის უსწავლებია. ისინი ვერ ხვდებიან სამყაროს კანონებს, არ იციან, რომ აზრი მატერიალიზდება და ამიტომ არ აკონტროლებენ მას. მათთვის უცნობია, რომ ჯერ უნდა ისწავლო, იყო ბედნიერი და ამის შემდეგ გახდები მდიდარი და წარმატებული. სამწუხაროდ, ამ ცოდნას სისტემა არ იძლევა, რადგან სისტემას ჭანჭიკები სჭირდება და არა მოაზროვნე ერთეულები.

გაუცნობიერებელი ადამიანების ექსპლოატაცია და მათ ხარჯზე გამდიდრება უფრო ადვილია.

ამასთან, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანს ზეშესაძლებლობები გააჩნია.

ჩვენი ტვინი 100 მლრდ ნეირონისგან შედგება, რომლებისაც 10 000-დან 200 0000-მდე მაკავშირებელი გააჩნიათ.

ადამიანის თვალს 10 მლნ ფერისა და ტონის გარჩევა შეუძლია.

მთელი დნმ-ის სიგრძე 16 მლრდ კმ-ს შეადგენს, ეს პლუტონამდე ორი გზის ტოლია.

ტვინს შეუძლია გამოიმუშაოს იმდენი ენერგია, რომ ერთი ნათურა აანთოს.

ტვინი კუნთებივითაა, რაც მეტად ავარჯიშებთ, უფრო მეტად ვითარდება.

ნეირონები მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრდება.

ნამდვილი წარმატების მიზეზი ადამიანის მიერ საკუთარი ზეშესაძლებლობების განვითარებაა. სწორედ საკუთარი აზრების, გრძნობების, ენერგიის, განწყობის მართვაა ახალი ცხოვრების, სიმდიდრის, ბედნიერების, სიყვარულისა და ჰარმონიის ჯადოსნური გასაღები.

გთავაზობთ რამდენიმე ცნობილი ადამიანის მაგალითს, რომლებმაც 40 წლის ასაკის შემდეგ მიაღწიეს წარმატებას, საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალეს და მილიონობით ადამიანისთვის მისაბაძი გახდნენ.

ანა მარია რობერტსონი (ბებია მოზესი), ცნობილი ამერიკელი მხატვარი

იგი ფერმერების ღარიბ ოჯახში დაიბადა. 12 წლიდან მდიდარ მეზობლებთან მუშაობდა და განათლება ვერ მიიღო. 37 წლის ასაკში გათხოვდა ღარიბ მამაკაცზე და მთელი ცხოვრება პატარა ფერმაში გაატარა.

75 წლის ასაკში ქალიშვილმა საღებავები აჩუქა და მოზესმა ხატვა დაიწყო. მისი ნახატები გულუბრყვილო, პრიმიტიული, მაგრამ ძალიან მიმზიდველი იყო. ჩამოსულმა მოყვარულმა კოლექციონერმა იაფად შეიძინა მისი ნამუშევრები.

რამდენიმე წლის შემდეგ კი მისი ნახატები იმდენად მოთხოვნადი გახდა, რომ მათ პრეზიდენტებსაც კი ჩუქნიდნენ. იგი გამდიდრდა და ცნობილი გახდა, მაგრამ კვლავ თავის ფერმაში აგრძელებდა ცხოვრებას. ბებია მოზესმა 102 წელი იცოცხლა. გარდაცვალების შემდეგ 1500 ნახატი და სურათი დატოვა. იგი ხშირად იმეორებდა: „ცხოვრება ისეთია, როგორსაც ჩვენ ვქმნით!“

პოლკოვნიკი ჰარლანდ სანდერსი, რესტორნების ქსელ KFC-ის შემქმნელი

65 წლის ასაკამდე ჰარლანდი აბსოლუტურად უიღბლო იყო. ის ღარიბ ოჯახში დაიბადა და მამის გარეშე იზრდებოდა. ბავშვობაში სანდერსს უხდებოდა უმცროსი დის მოვლა, ვიდრე დედა მუშაობდა. დიდი წვალების შემდეგ სანდერსი ადვოკატი გახდა. მაგრამ პირველივე სასამართლოზე თავისი დაცვის ქვეშ მყოფს ეჩხუბა და ადვოკატთა კოლეგიიდან სამუდამოდ გააძევეს.

ბევრი საქმე წამოიწყო, მაგრამ არაფერში გაუმართლა. 65 წლის ასაკში ჰარლანდის პენსია მხოლოდ 91 დოლარი იყო. უფულოდ და მარტოდ დარჩენილმა საკუთარ თავს დაუსვა შეკითხვა: „რა მაქვს ისეთი, რაც შემიძლია ადამიანებს შევთავაზო, რაშიც ისინი ფულს გადამიხდიან?“ ახალი ვერაფერი მოიფიქრა, მაგრამ გაახსენდა სხვადასხვა სანელებლებით ქათმის გემრიელად შეწვის რეცეპტი. სანდერსი სთავაზობდა რეცეპტს რესტორნების მფლობელებს, მაგრამ ყველა უარზე იყო. ჰარლანდ სანდერსს ბოლოს მაინც გაუღიმა ბედმა — იგი გამდიდრდა და საკუთარი წარმატების რწმენისა და დაჟინებულობის წყალობით გახდა ცნობილი.

რეი კროკი, „McDonald's“-ის შემქმნელი

52 წლამდე რეი წარუმატებელი და ღარიბი ადამიანი იყო, იგი არაერთგზის გაკოტრდა.

1954 წელს რეი კროკი ძმებ მაკდონალდსებს შეხვდა და „მაკდონალდსის“ გავრცელების ლიცენზიის გამოსყიდვა მოინდომა, მაგრამ ბანკში 15-ათასიანი კრედიტის აღება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, სახლი ჩაედო. მაშინ იგი 52 წლის იყო, ჰქონდა დიაბეტი და ართრიტი, ამოკვეთილი ჰქონდა ნაღვლის ბუშტი და ნაწილობრივ, ფარისებრი ჯირკვალიც. ჰქონდა სმენასთან დაკავშირებული სირთულეები, მაგრამ მას მომავლის რწმენა ჰქონდა!

რეი კროკმა საკუთარი საქმე 52 წლის ასაკში დაიწყო, კიდევ 30 წელი იცოცხლა და მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი და ცნობილი ადამიანი გახდა!

პოლ ორფალა, „Kinko“-ს შემქმნელი

დისლექსიით დაავადებულმა პოლ ორფალამ წერა ვერ ისწავლა, რადგან ქალაქის ყველა სკოლიდან რიცხავდნენ არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების გამო.

ერთხელ, როდესაც თავისი დეიდის ქიმწმენდის სალონში კლიენტს მოემსახურა, რადგან სხვა არავინ იყო, დეიდამ გალანძღა და მას ჩამორჩენილი უწოდა. მიუხედავად მძიმე დაავადებისა, პოლმა შექმნა ასლის გადამღები სალონების ქსელი „Kinko“, რომელიც მოგვიანებით 3,4 მლრდ დოლარად გაყიდა.

ამჟამად იგი სტენფორდის უნივერსიტეტში ასწავლის.

კონოსუკე მაცუსიტა, ფირმა „PANASONIC“-ის შემქმნელი

როცა მაცუსიტა 9 წლის იყო, მისი მშობლები გაკოტრდნენ. მათ ბიჭუნა სხვა ქალაქში გაგზავნეს ფულის საშოვნელად.

პატარა მაცუსიტა ძალიან მცირე ანაზღაურების ფასად ბევრს შრომობდა — აპრიალებდა ბრინჯის მოსახარშ მოწყობილობებს. 18 წლის ასაკში, სუსტი ჯანმრთელობის გამო იგი ელექტრიკოსად მოეწყო სახელმწიფო კომპანიაში. კონოსუკემ წერა-კითხვა არ იცოდა და ღამის სკოლის დამთავრებაც ვერ შეძლო, რადგან წელიწადში ორ-სამ თვეს საავადმყოფოში ატარებდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის დედამიწაზე ყველაზე მდიდარი ადამიანი გამხდარიყო. მან შეძლო თავისი მოწოდების რეალიზაცია — ქმნიდა ელექტრომოწყობილობებს. მაცუსიტას დევიზი გახლავთ: „მთელი ცხოვრება საკუთარ მოვალეობად ვთვლიდი, ჭკვიანი ადამიანებისგან მესწავლა“.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს და გულშემატკივარს, ბატონ **გური შენგელაიას** ვულოცავთ ქორწინების 45 წლისა და დაბადების 78 წლის იუბილეს.

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მხნეობას გისურვებთ, ბატონო გური, გაიხარეთ თქვენს ძვირფას მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com